


# საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემი  
ბეჭდებიც ბეჭდები სიღვავა,  
ფერილობით და ჭებებზე ბუბის  
გაფანა ყურა უკანდასტოვებ  
უსამაგლესია.

# რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.  
შაბათი, 12 მაისი, 2007 წელი.  
№ 90 (5691)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.

ვინ „ჩამოალაბორანტა“ პროკურორები თუ  
მინისტრები და „ალაგევა“ ჟურნალისტები?



4

ჩვენი ჟურნალისტური საძმოს წარმომადგენლებზე, იმ ცალკეულ „მეცხოვნებზე“ მსურს ყურადღების გამახვილება, რომლებიც, საკუთარი ინიციატივით, თუ უძლიერეს „მოალყეთა“ მოთხოვნა-ზენოლით, კიდევ უფრო აფარლალავენ ისედაც ლამის ნიფნიფისა თუ ნუფნუფის მიერ სიმინდის ფუჩეჩით აგებულ „სახლზე“ არანაკლებ მოფამფალეზულ „სადგომს“ მასმედიისას.

ВРЕМЯ  
НОВОСТЕЙ

10

რუსეთმა და  
ყაზახეთმა  
პოლონელებს ზურგი  
შეაქცია

პროზა

7

გაღე საქართველოში  
სასემლი წყალი  
აფთიანეფაზი გაიყიდება!

რაც უფრო მეტ  
ყურადღებას მიაქცევენ  
სანაკოვს, მით უფრო  
გამწარდება კოკოითი



ვინ-ვის?

სიმბოლურია, რომ საქართველოს  
ფეხბურთის ფედერაციის საანგარი-  
შო-საარჩევნო ყრილობა 13 მაისს გა-  
იმართება. ვინ გაიმარჯვებს ხვალ?

13



2

დადებითი შედეგი კი  
ის იქნება, რომ ეს ფაქ-  
ტი ეთნიკური ოსებისა  
და ქართველების ერთ-  
მანეთთან დაახლოებას  
შეუწყობს ხელს. ამას  
დაინახავს უცხოეთიც,  
რომელსაც აუკვიატებია  
ტერმინი „ეთნოკონფ-  
ლიქტი“ და სწორედ ამ  
ნაბიჯით გახდება ცხა-  
დი, რომ არანაირი ეთ-  
ნოკონფლიქტები არ  
არის, არამედ პოლიტი-  
კურ ინტერესთა კონფ-  
ლიქტია.

როგელი  
ბოლოდან  
უჭირავთ  
ჯოხი  
ლომაიასა  
და  
ბგარამიას?!



3

მეველეების ასაკი (მსხვერპლისა) ისევე  
აბბასტროფულად მსირდება, როგორც ნარკომანიისა

დადებითი შედეგი კი ის იქნება, რომ ეს ფაქტი ეთნიკური ოსებისა და ქართველების ერთმანეთთან დაახლოებას შეუწყობს ხელს. ამას დაინახავს უცხოეთიც, რომელსაც აუკვიატებია ტერმინი „ეთნოკონფლიქტი“ და სწორედ ამ ნაბიჯით გახდება ცხადი, რომ არანაირი ეთნოკონფლიქტები არ არის, არამედ პოლიტიკურ ინტერესთა კონფლიქტია



მოსვლა პოლიტიკაში არსებითი შედეგებს ვერ მოიტანსო...

ამას მომავალი გვიჩვენებს. ჯერჯერობით ხელისუფლება ცდილობს გამოიყენოს ეკონომიკური და პოლიტიკური რესურსები. სანაკოვეის პარლამენტში მისვლა პოლიტიკური რესურსის გამოყენებაა. სწორედ ასეთი რესურსები დაუპირისპირა საქართველომ კოკოითს. მხოლოდ ამ რესურსების ამოქმედების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, საკმარისია თუ არა ისინი ხალხის მხადრატყერის მოსაპოვებლად. თორემ, აბსტრაქტულად, ოსებმაც და ქართველებმაც იმდენი უბედურება ნახეს, მხოლოდ ლაპარაკით სიტუაციას ვეღარ შემოატრიალებს.

ამიტომ სამშვიდობო რესურსები ვილაცამ, რაღაც სტრუქტურებმა უნდა აამუშაოს. ასეთი ვილაცა სანაკოვეია და, თუ იგი არ გამოდგება, მოიხსნება კიდევ სტრუქტურა, რომელმაც უნდა მოახდინოს ამ სამშვიდობო რესურსების რეალიზაცია, სწორედ ადმინისტრაციული ერთეულია.

ესაუბრა თამარ შაიშველაშვილი

თვალსაზრისი


რაც უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ სანაკოვეს, მით უფრო გამწარდება კოკოითი, ფიქროს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე

ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებდით სანაკოვეის პარლამენტში მოსვლას და წაადგება თუ არა ეს კონფლიქტის მოგვარებას?

ამ ფაქტს ორივე დადებითი და უარყოფითი შედეგი მოჰყვება. უარყოფითი ის იქნება, რომ, რაც უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ სანაკოვეს, მით უფრო გამწარდება კოკოითი და, შეძლებისდაგვარად, დაიწყებს ვითარების გამწვავებას რეგიონში. მან უკვე გადაკეტა კვების-თამარაშენის გზა.

დადებითი შედეგი კი ის იქნება, რომ ეს ფაქტი ეთნიკური ოსებისა და ქართველების ერთმანეთთან დაახლოებას შეუწყობს ხელს. ამას დაინახავს უცხოეთიც, რომელსაც აუკვიატებია ტერმინი „ეთნოკონფლიქტი“ და სწორედ ამ ნაბიჯით გახდება ცხადი, რომ არანაირი ეთნოკონფლიქტები არ არის, არამედ პოლიტიკურ ინტერესთა კონფლიქტია.

ამას, ასევე დაინახავს ის ოსებიც, რომლებიც ცხოვრობენ ამ რეგიონში და მშვიდობა და წყნარი ცხოვრება სურთ. ბუნებრივია, ისინი ნელ-ნელა დაიწყებენ მოძრაობას იქითკენ, სადაც მათი სინყნარის გარანტიაა. ბოლოს და ბოლოს, კოკო-



იფი, თავის ჯგუფთან ერთად, მარტო დარჩება.

რას იტყობით ცხინვალის რეგიონში ახალი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის თა-

ობაზე და ეს ნაბიჯი სამომავლოდ რა შედეგს გამოიღებს?

ჩემი აზრი ეყრდნობა თავად ხელისუფლების გამონათქვამებს და თითოეულ გამონათქვამს არ არის. ეს ახალი ადმინისტრაციული ერთეული იურიდიული ერთეულია, რომელსაც აღიარებს ქართული მხარე და რომელთანაც დიალოგს დაიწყებს. კოკოითისა და რუსეთის არგუმენტი ასეთია - ვინაიდან კონფლიქტია კოკოითთან, ეს პრობლემა მასთან დიალოგით უნდა მოგვარდეს. ხოლო საქართველომ გადაწყვიტა, კონფლიქტის მოგვარება არა კოკოითთან, რომელსაც მისი ჯიუტად, ყოველგვარი საზრიანობის გარეშე, გაჭიანურება შეუძლია, არამედ, სანაკოვეთან. პარალელურად კოკოითს მხარდამჭერებს გამოაცლის და მათ მშვიდობის მხარდამჭერებად აქცევს.

როდესაც ამ რეგიონში მაცხოვრებელი ხალხი მშვიდობის მხარდამჭერები იქნებიან და თავად იზრუნებენ იქ მშვიდობისათვის, კოკოითის კონფლიქ-

ტი პერსონალურად მისი კონფლიქტი გახდება და არა რეგიონალური მასშტაბის დაპირისპირება.

თავად მოსახლეობამ - იქ მაცხოვრებელმა ქართველებმა და ოსებმა უნდა შექმნან მშვიდობა. ახალი ადმინისტრაციული ერთეული მათთვის დამხმარე სტრუქტურაა მშვიდობის დამყარებაში. თუ მას მოსახლეობა მხარს არ დაუჭერს, იგი მნიშვნელობას დაკარგავს, მაგრამ ხალხის მხარდაჭერის შემთხვევაში, უზარმაზარი როლის შესრულება შეუძლია.

ეს ყველაფერი სახიფათო თამაში ხომ არ არის?

ყველაფერი სახიფათოა, რაც ადამიანთა ინტერესებს უპირისპირებს ერთმანეთს. ამ შემთხვევაში ეს სამშვიდობო პროცესი კოკოითის ინტერესებს ეჯახება და მას ექნება სურვილი, რომ მშვიდობა შეუმოსხნებულ ფორმით არ დამყარდეს.

ქართველ პოლიტოლოგთა ნაწილი სკეპტიკურად განწყობილია სანაკოვეის მიმართ, მისი შე-

ნებს. ამჯერად კმაყოფილი ოპოზიცია მიიჩნევს, რომ დიმიტრი სანაკოვეისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭება გარკვეულწილად მათი დამსახურებაა; აღნიშნავენ, რომ ეს მათი პროტესტის შედეგია. ოპოზიცია აცხადებდა, რომ თუ სანაკოვეი პარლამენტში მხოლოდ სტუმრის სტატუსით მოვიდოდა, ისინი მის გამოსვლას არ დაესწრებოდნენ. უმრავლესობაში კი ამბობენ, რომ სანაკოვეის სტატუსი პარლამენტში მის გამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე უკვე განსაზღვრული იყო. ამასვე აღნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარეც: „თავიდანვე გეჭონდა გადაწყვეტილი, რომ მოვესმენ-

კანონმდებელი

რა მნიშვნელობა აქვს, ვისი დამსახურებაა?

„კოკოითს და ყველას, ვისი კარნახითაც ის მოქმედებს, უნდა ესმოდეთ, რომ მათ ულტიმატუმებზე საქართველოს ხელისუფლება, საქართველოს მოსახლეობა, არასოდეს ივლიან“, - განაცხადა გუშინ ნინო ბურჯანაძემ. პარლამენტის თავმჯდომარე ედუარდ კოკოითს ურჩევს, ისტერიის გარეშე, გონივრულად შეაფასოს რეალობა და ქართული მხარის სამშვიდობო ინიციატივებს პროვოკაციებით არ უშასუხოს.

აზრი აქვს ოპოზიციასაც. „მოდით, ვთქვათ, რომ არათუ კოკოითის, არამედ კრემლის მწვავე რეაქცია იმ გადაწყვეტილებაზე, რაც შიდა ქართლში დროებითი ადმინისტრაციის შექმნასა და მისი ხელმძღვანელის დანიშვნის გამო ჩვენმა ხელისუფლებამ მიიღო. მთავარია, ამ პროვოკაციებს არ აყვებთ. კოკოითი ვერაფრით ვერ გაამარ-



თლებს ბლოკადის გამოცხადებას. ეს ძალიან წამებებიანი პოზიციაა“, - აღნიშნა დავით გამყრელიძემ.

დეპუტატების აზრით, სანაკოვეზე ბევრია დამოკიდებული. გახდება თუ არა ის ამ რეგიონში მცხოვრები ოსებისა და ქართველების ინტერესების გამომხატველი, მათი ნდობით აღჭურვილი პირი, ამას დრო გვიჩვენ-

დით ადამიანს, რომელიც იმ კონკრეტული სტრუქტურის წარმომადგენელი იქნებოდა. ბუნებრივია, მას გარკვეული სტატუსი სჭირდებოდა იმისთვის, რომ პარლამენტის წინაშე წარმდგარიყო.

ოპოზიციას კი მაინც ურჩევნია, ეს მისი დამსახურება იყოს...

მზია გალანავა

ინფორმაცია

საქართველო ევროპის ნაწილია

საპარტიზოლო თავდაცვის სამინისტრო აქვეყნებს ინტერვიუს გერმანიის თავდაცვის უწყების ბრიგადის გენერალ კარლ მიულნერთან, რომელიც ჩვენს ქვეყანას, გერმანიის შეიარაღებული ძალების დელეგაციასთან ერთად, ვადლიანი ვიზიტით სტუმრობს.

გენერალმა მიულნერმა თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოს ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს შეიარაღებული ძალები და მთლიანად საქართველო რთულ ტრანსფორმაციის პროცესს გადის. შეიარაღებული ძალები ახორციელებს იმ პროგრამებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც ნატოსთან ერთად შემუშავდა. თუ შევადარებთ პარტიზორობის დასახულ მიზნებს და მათ შესრულებას, შეფასება ძალიან დადებითია. არის გარკვეული სახის პრობლემებიც, - აღნიშნა კარლ მიულნერმა.

ზურაბიშვილი სანაკოვეის წინააღმდეგ

პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს გზის“ ლიდერი სალომე ზურაბიშვილი დიმიტრი სანაკოვეის დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელად დანიშნას აკრიტიკებს. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის გაურკვეველია, საერთოდ, რა დანიშნულებით ჩამოიყვანეს ვლადიკავკაზიდან დიმიტრი სანაკოვეი და რატომ ხდება მისი სხვადასხვა თანამდებობაზე მონაცვლეობა.


გარდა ამისა, პარტიის ლიდერმა ყურადღება გაამახვილა ავიაკომპანია „აირზენას“ გუშინდელ საპროტესტო აქციაზე. მან აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები „ალტას“ საერთაშორისო კონვენციიდან გამომდინარე და დაიცვას საკუთარი ავიაკომპანიის ინტერესები.

ამავე დროს, ზურაბიშვილი მოითხოვს, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია „ალტამ“ ეს საკითხი მოანდერგოს, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლება ამას ვერ ახერხებს.

ბიჭვინთა ტურისტებს ელის

25 მაისიდან ბიჭვინთის ტურისტული კომპლექსი საკურორტო სეზონს გახსნილად აცხადებს. ამის გამო, ბიჭვინთას, აფხაზური მხარის ინფორმაციით, აფხაზ ე.წ. პარლამენტართა ეკონომიკური ბლოკის წარმომადგენელი მინისტრები ეწვივნენ.

ტურისტული კომპლექსი ორგანიზაცია „ჩერნომორენერგოსგან“ დასასვენებელი კომპლექსის ელექტროენერჯის ხარისხის მიზნების გაუმჯობესებას მოითხოვს. კომპანია „ჩერნომორენერგოს“ გენდირექტორი რეზო ზანტარია კი აცხადებს, რომ ტურისტულ კომპლექსს ენერგოკომპანიისადმი დავალიანება, ჯერ კიდევ შარშანდელი სეზონიდან 700 ათას რუსულ რუბლს შეადგენს.



ინტერპრესნიუსი

№ 90. შაბათი. 12 მაისი. 2007 წელი.

საშინელებაა — უკვე 13-13 წლისანიც ხოცავენ ერთმანეთს! ვინც ზემოაღწერილი გარემო შექმნა, სწორედ იმან უნდა ჩააწყოს რიგში ცამეტი ტყვია და ცამეტჯერ მოიკლას თავი!

© ხელის შენობის პრინციპი

## როგორ გოლოდა უჭირავთ ჯოხი ლომიასა და გვარამიას?!

### გვლელების ასაკი (მსხვერპლისაც) ისევე კატასტროფულად მცირდება, როგორც ნარკომანიებისა

მთავრობა ყველასა და ყველაფერის პასუხისმგებლობას ზრდის, თავისი კი ერთხელ და სამუდამოდ ისე მყარად აქვს დავინყეული, ებრაელის დანყევლილები გვეგონებათ — არც შენი უწყოდე და არც სხვისას შეისმენდები.

მათხოვრა მშობლები, შვილების გამოსაკვები ლუკმის საშოვნელად რომ წაწნალებს გარე-გარე? ვინ ჩამოართვა სკოლას — და ეს განათლების სისტემის ე.წ. რეფორმის ერთ-ერთ ქვაკუთხედად მიიჩნიეს — აღზრდის ფუნქცია? ვინ დევნის სკოლებიდან ყოველივე ეროვნულს, სულიერს იქამდე, რომ წმინდა ხატის გაქაჩანებაც იკრძალებს? ვინ არის ტელეკომპანიების გამრყენელი ზეგავლენის იდეოლოგი? ვინ ებრძვის ყოველი ძალითა და საშუალებით (სულ ფუჭად კი!) მართლმადიდებლობას? და კიდევ — ვინ, ვინ, ვინ...

საშინელებაა — უკვე 13-13 წლისანიც ხოცავენ ერთმანეთს! ვინც ზემოაღწერილი გარემო შექმნა, სწორედ იმან უნდა ჩააწყოს რიგში ცამეტი ტყვია და ცამეტჯერ მოიკლას თავი! თავად დამნაშავე იმით ადანაშაულებს, ცისი ამქვეყნიური სახეუკვარის სწორედ შვილების ზნეკეთილად აღზრდა — მშობლებს! ჯარიმებსაც გადაახდევინებენ! მერედა, ან ფული სად იშოვონ, ან, უპირველესად, ვის დააკლდება ეგ თანხა? — ბავშვებს. როგორ ჰგონიათ, ამ „გენიალური“ იდეის ავტორებს, უარესად დამშუული და ჩამოძინილი მოზარდი გაკეთილშობილდება თუ უფრო გაბოროტდება?!

კახა ლომიასი, ნიკა გვარამიასა თუ სხვა „ზეპურთა მამათა“ ნაშთებმა რომ ჩაიდინონ დანაშაული (ღმერთმა ნუ ქნას!), აი, მაშინ კი უნდა გააცალო ღრდინი მშობლებს, რადგან მათ ბავშვებს ამქვეყნიურ ე.წ. სიამეთაგან არც არაფერი აკლიათ. სხვა, ამ ხელი-სუფლება-მთავრობის მიერ ქუჩას შეტოვებულმა ბავშვებმაც და მო-

ზარდებმაც უნდა აგონ პასუხი დანაშაულის გამო, მაგრამ, მხოლოდ და მხოლოდ, მთელი სოციალური ვითარების გათვალისწინებით! თუ მხარი ექცა და ამას გაითვალისწინებს ჩვენი ე.წ. სასამართლო, საკითხავია, ვინ აღმოჩნდება დამნაშავეთა სკამზე.

ქუჩა კი არა მხოლოდ რყენის, არამედ ზრდის კიდევ. ჩემი თაობაც — 54 წლისა ვარ — იზრდებოდა ქუჩაში, „ბირჟავიკობდა“, მაგრამ ავაზაკებად მხოლოდ ისინი თუ დადგნენ, ვისაც „ბუნებამც არ უშველა“. „რაზბორკებიც“ იყო, ჩხუბიც, მაგრამ მკვლელობა? ასეთი საშინელება წელიწადში ერთი თუ შეიძლება მომხდარიყო და უმალ მთელი თბილისი ფეხზე დგებოდა... ახლა დღე ისე აღარ გავა, რამდენიმე მკვლელობა ან მკვლელობის მიზნით თავდასხმა რომ არ მოხდეს და მკვლელთა ასასტიკო (მსხვერპლისაც) ისევე კატასტროფულად მცირდება, როგორც ნარკომანთა! ჩემს დროს კოდეინი, კოტერპინი და, რა ვიცი, კიდევ რა, აფთიაქებით თავისუფლად იყიდებოდა, მაგრამ თბილისში თითქმის ჩამოსათვლელი ნარკომანი იყო...

ამჟამინდელ ვითარებას თითქმის ქნევა და მრისხანება ვერ უშველის. მოზარდი თაობის ზნეობის გამრყენელ, ფსიქიკის დამამახინჯებელ გარემოს, მთლიანად სოციალური ფონის სჭირდება გამოსწორება. ჩვენი მმართველების კარაბაღინში კი სწორედ საწინააღმდეგო წერია. როგორ გააკონტროლებს სამართალდამცავი ორგანოები ქუჩას? სულ აშხვართული ჯველები მიიღეს საპატრულო პოლიციაში. ახლა შეხედეთ, რამდენია,



ლიბები ლურსაბივით რომ მოსწრებია და ხვნი-ხვნიით ძლივსლა ეტევა სპეციალურ მანქანებში? თვალის გახილონ, უბან-უბან „ფიანდაზადაა მოფენილი“ გამოყენებული ერთჯერადი შპრიცები! აკრიფონ მაინც...

უბნის ინსპექტორთა მოვალეობაში ადრე ოპერატიული მუშაობაც შედიოდა. ვიცი, რა ხვითობიც იყვნენ. მზესუმზირის გამყიდველს, წილის მისაღებად, ჭიქებს კი არა, სულ მარცვალ-მარცვალ და უთვლიდნენ „სემიჩკას“, მაგრამ ისიც უნყოდნენ, ვინ რითი სუნთქავდა უბანში. ბევრთან წილშიც იყვნენ, მაგრამ, თუ საჭირო გახდებოდა, მოქმედებაც შეეძლოთ. არ ვიცი, ოპერატიული მუშაობა ახლაც თუ ევალება აღდგენილი უბნის ინსპექტორთა ინსტიტუტს, მაგრამ ადრინდელივით ხომ მთელმა უბანმა იცის, ვინ რითა სუნთქავს, ხოლო ვისაც ამის გამოვლენა-დადგენა ევალება, ასეთი რა ყრუ-მუნჯობ-სიბრმევე ეტაკა?! იგივე „პენსიაა“, ფული მოიკლა და გინდა „პრობითი“ ივაჭრო?!

აი, ამ ხალხით აპირებენ ქუჩის გაკონტროლებას? თუ ჩვენს პოლიციურ სახელმწიფოში პოლიციის მეთოდებს

გავანალიზებთ, სავარაუდოდ, ასე მოიქცევიან: სტაციებენ ქუჩაში თავმოყრილ რამდენიმე ბავშვსა თუ მოზარდს ხელს და მისვე თავისთან გააქაჩნენ. იქ ან ნარკოტიკს ჩაუდებენ, ან დანას და მერე, მათი პატაკის საფუძველზე, უკვე ზემდგომი სათანადო ორგანოები თუ სამინისტროები მისდგებიან მშობლებსა და სკოლებს. ნარკომანებს ხომ აჯარიმებენ? ვითომც, ბიუჯეტის შევსების ეს ხერხი იმაზე ნაკლები რითაა?

ლომაიებს, გვარამიებსა და „ძმათა მათათა“ კი სხვისა ჭირი რაში ენაღვლებათ? ისინი, ვითარცა მათი ოჯახის წევრები, კანონისთვის მიუწევდომელი არიან. ისინი თავად განასახიერებენ კანონს, უკაცრავად, უკანონობას და ამ უკანონობას ცხოვრების წესად გვიპირადებენ. მაგრამ ჯოხს ხომ ორი ბოლო აქვს? ალბათ, დადგება დრო, როცა საჭირო ხელი სწორედ საჭირო ბოლოდან ჩაადლებს მას მტკიცედ ხელს და დანიშნულბისამებრ დაუშუშელებს კიდევ...

კონსტანტინე გურგენიძე

P. S. ამას წინაშე, მოფლიოს 21 ქვეყანაში გაიმართა სოციალური გამოკვლევა. მიზანი — გამოველინათ სად, როგორ ცხოვრობენ ბავშვები. თურმე, ყველაზე ბედნიერი ბავშვობა პოლანდიელ პატარებს შეეძინათ, ყველაზე უარესი კი, თუმცა ეს ჩვენთვის ძნელად წარმოსადგენია, — ინგლისში. იქ ყმაწვილების უმეტესობა არასრულ ოჯახებში ცხოვრობს. მათი სახელმწიფო-ადრდისათვის ძალზე მწირი თანხები იხარჯება და ბავშვები ხშირად ცუდ წრეში ხვდებიან. ინგლისელი გოგონები გამოკვლეული ქვეყნების თანატოლთაგან ყველაზე ადრე — 14-15 წლისანი იწყებენ სექსუალურ ცხოვრებას.

პირველი ხუთეული: პოლანდია, შვედეთი, დანია, ფინეთი და ესპანეთი.

საქართველოშიც რომ გამოკვლიათ ეს საკითხი, ინგლისი ბოლო ადგილზე აღარ აღმოჩნდებოდა. სამწუხაროდ, მსოფლიოშიც, ამ მხრივ უკანასკნელი თუ არა, ერთ-ერთი ბოლო ადგილი განადებული გვაქვს. აი, ამაზე იფიქრეთ და ამ სავალალო მდგომარეობის გამოსასწორებლად იმტკრიეთ დღენიდაღ თვეები, ბატონო ლომიასო და გვარამიებო და არა თქვენს მიერ გალატაკებული, ადამიანურ ღირსებაყრილი, უძალო და უფიქრო მშობლებისა და სკოლების, თქვენს მიერ ბავშვობა წართმეულთათვის ცინცხალ-ცინცხალი რეპრესიების გამოგონებაზე.

კ. პ.

© კონფლიქტის ზონა

## ყველა ელოდება, რომ მოვახვადი უკეთეს სსოვრებას მოიტანს...

მართაში ამბობენ, ხელისუფლება რაც შეტ ყურადღებას მი-აქცევს ცხინვალის რეგიონს, მით უფრო უკეთესი იქნებაო. ჯერ საპარლამენტო ოპოზიციის, მერე კი უმრავლესობის წევრთა ჩასვლის შემდეგ, ადგილობრივი მოსახლეობა, რომ იტყვიან, გააქტიურდა. ახლა აქ უკვე ხმა-მალა და თამამად ლაპარაკობენ იმაზე, რომ ოსები და ქართველები, ბოლოსდაბოლოს, უნდა შერიგდნენ, რადგან ამდენი წელიწადია, რეგიონში მცხოვრები ეს ორი ერთი, დაპირისპირების გარდა, სხვა ვერაფერს ხედავს...

ნენ ადამიანები დიდი და პატარა ლიხვის ხეობებიდან, უმეტესად, ახალგაზრდები. მათ შორის იყვნენ ის ოსებიც, რომლებიც ქართველებთან მეგობრულად და გაგებით გვერდგვერდ ცხოვრობენ, აქვთ ნათესაური და ნათელ-მირონული კავშირები...

ბუბა კიკაბიძის ჩასვლამ გაახარა აქაურები. ახალგაზრდობას ხომ ასე ახლოს არასდროს ენახა არც ბატონი ვახტანგი და არც მისი თაობის სხვა პოპულარული მომღერლები... ეს იყო მართლაც სახალხო დღესასწაული, რომელიც ბატონმა დიმიტრი სანაკოევმა პირადი ინიციატივით გაუმართა კონფლიქტის ზონის მცხოვრებთ.

ყურადღების ცენტრში იყვნენ მეორე მსოფლიო ომის მონაწილენი, მოხუცნი, მაგრამ მაინც მხნედ შემართულნი. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებაში, რომ ყოველ მათგანს გადასცემოდა ფულადი ჯილდო, გაახარა ისინი. „ყურადღება ყველას სიამოვნებს, შვილო, განსაკუთრებით კი ჩვენ, ამდენ ჭირგამოვლი-

ლებს. ამ ხეობის ვეტერანები სულ განსაცდელში ვართ. გაჭიანურებულმა კონფლიქტმა და უდანაშაულო ახალგაზრდების მსხვერპლობა სიბერეც გავკიშნარა“, — ამბობენ ისინი.

ვეტერანი გიორგი ბასიშვილი სოფელ ქურთას მკვიდრია. იმ დღის შთაბეჭდილებას გულწრფელად გვიზიარებს:

— კარგა ხანია, ასეთი სიხარული და შევების განცდა აქაურთ არ გვეღრსებია. მადლობას ვუხდით დიმიტრი სანაკოევს ასეთი ზრუნვისათვის. გვჯერა, ის მართალი კაცია და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ რეგიონი ამ კონფლიქტიდან გამოიყვანოს და ღირსეული, ადამიანური ცხოვრების წესი დაამკვიდროს... კანონმა ყველასათვის უნდა იკანონოს. გვსურს, რომ ცხოვრება გავვიუმჯობესდეს. შეხედეთ, რა ლამაზი, რა შემართული ახალგაზრდები გვეყვანან. თუკი სახელმწიფო მათ ენერჯის სწორ გზას მისცემს, მთას გადააბრუნებენ, ცხოვრებასაც შეცვლიან. ნაომარი კაცი ვარ და დაამჯერეთ, მშვიდობის

ფასი არაფერია. როცა მშვიდად ხარ, ღმერთი სახლობს სულში, ღმერთმა დაიფაროს საქართველო!

გუშინ კი საქართველოს პარლამენტში სიტყვით გამოვიდა რეგიონის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი. ადგილობრივ მოსახლეობას სჯერა, რომ, თუკი კონფლიქტის ზონისთვის სპეციალური სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა შეიქმნება, ოსი ხალხი საქართველოსკენ შემობრუნდება.

სუპრატისტებისთვის ქართველი მტრის ხატია, თუმცა, მათ მაინც ახსოვთ, რომ ჩვენი წინაპრები ერთად ცხოვრობდნენ. ცხრა მათგანის ახალგაზრდებს ერთმანეთი ცუდად არ მოუხსენებიათ. მართლაც, სიყვარული და ხელოვნება უნდა იქცეს შემერთებელ ხიდად გახლჩილ საზოგადოებას შორის. და იქ, მესამე, აგრესიული ძალა მალევე იგრძნობს თავის უსუსურობას... სროლითა და აფეთქებით დაღლილ ხეობას იმ დღეს სიყვარული


ლის განუმეორებელი ჰანგები მალამოსავით დაედო. თუმცა, არავინ იცოდა, რა ხდებოდა იმ წუთებში ქალაქ ცხინვალში, რას ფიქრობდნენ იქაური ოსები... თუმცა, მას შემდეგ, როგორც კი პრეზიდენტმა სააკაშვილმა დიმიტრი სანაკოევს ოფიციალური სტატუსი მიანიჭა და შესაძლებლობა მისცა საქართველოს პარლამენტის წინაშე სიტყვით გამოსულიყო, კოკოითის რეჟიმმა თამარაშენი-კვხვის მიერთებულები ყველა სატრანსპორტო გზა გადააკეტა: ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ ე.წ. „ჩაკეტილი ზონის“ სოფლებში ქართული სამართალდამცველების გამოჩენის გამო და ეუთოს მისიას უმოქმედობაში ადანაშაულებენ...

და მაინც, განუმეორებლად ლამაზი გაზაფხულია დიდი ლიხვის ხეობაში. მზე და სითბო იმედით ავსებს ომგამოვლილთ. იხვნება მიწა, ინამლებს ხილის ბაღები და ყველა გლეხის გულში ერთი დიდი ნატვრაა — მშვიდობა, მათი შვილების უსაფრთხოება. ყველა ელოდება, რომ მომავალი უკეთეს ცხოვრებას მოუტანს...

ლია ჭილაძე თბილისი-ლიდი ლიხვის ხეობა-თბილისი

№ 90. შაბათი, 12 მაისი, 2007 წელი.

ჩვენი ჟურნალისტური სამოს წარმომადგენლებზე, იმ ცალკეულ „მეციხოვნეებზე“ მსურს ყურადღების გამახვილება, რომლებიც, საკუთარი ინიციატივით, თუ უძლიერეს „მოაღყეთა“ მოთხოვნა-ზენოლით, კიდევ უფრო აფარალავებენ ისედაც ლამის ნიფნიფისა თუ ნუფნუფის მიერ სიმინდის ფუჩჩრით აგებულ „სახლზე“ არანაკლებ მოფამფალებულ „სადგომს“ მასმედიისას



## „რიტორიკული“ კითხვები

# 10. „უაზრო ხმაური არ მსურს, უაზრო ღუბილი მიჭირს“...

## მოლაყუბ თუმც ყრუბ დაღალა. იქნაზ ვეღირსოთ პასუხს?

გახსოვებათ, როგორ ამოიკვნესა ხემ, ცული რას დამაკლებდა, ტარად ჩემივე გვარისა რომ არ ეგოსო.  
ეჰ, ოდითგანვე ასე იყო - ხისთვისაც და კაცისთვისაც საქართველოში ციხე მუდამ შიგნიდან ტყდებოდა.  
ამჯერად ჩვენი ჟურნალისტური სამოს წარმომადგენლებზე, იმ ცალკეულ „მეციხოვნეებზე“ მსურს ყურადღების გამახვილება, რომლებიც, საკუთარი ინიციატივითა თუ უძლიერეს „მოაღყეთა“ მოთხოვნა-ზენოლით, კიდევ უფრო აფარალავებენ ისედაც ლამის ნიფნიფისა თუ ნუფნუფის მიერ სიმინდის ფუჩჩრით აგებულ „სახლზე“ არანაკლებ მოფამფალებულ „სადგომს“ მასმედიისას.  
ამას სამინისტროებისა და უწყებების „საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებზე“ მოგახსენებთ, ადრე, „ვარდების რევოლუციამდე“, პრესცენტრს თუ პრესსამსახურს რომ ვეძახდით, და რომლებიც დღეს ჩვენთვის, ურ-

ნალისტებისთვის, ერთი მხრივ, ძალიან ხშირად ლამის აუღებელი ციხესიმაგრე, მეორე მხრივ კი, ამავე მიზეზით, როგორც მოგახსენეთ, მასმედიის „სადგომისა“ და ავტორიტეტის მომფამფალებლები გახდნენ.  
თანაც მართო საქართველოში კი არა, მის ფარგლებს გარეთაც!  
სწორედაც ასეა, რადგან, ჩემი ღრმა რწმენით, ძალიან დიდია მათი „დამსახურება“ იმაში, რომ ახლახან ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნით, საქართველო მასმედიის თავისუფლების მხრივ მსოფლიოს 195 ქვეყანას შორის 121-ე ადგილზე გავიდა („ვარდების რევოლუციამდე“, იმავე ორგანიზაციის შეფასებით, 75-ე ადგილზე ვიყავით)!  
თუმცა ამაზე უფრო ვრცლად ცალკე ვისაუბროთ. ახლა კი ჩვენებურ „მეციხოვნეებს“ მივხედოთ.  
მაშ, ასე,

რი მომბაზრებელი ატორლი-ალევისთვის რომ აგინიათ აეროპორტში მამის ტოლა დეპუტატმა „ვარდების რევოლუციის“ წინა დღეებში.  
ამას ალბათ იმიტომ აკეთებდით, რომ ხალხზე გასამარჯვებლად გამზადებული ტელევიზიისთვის სენსაციური მასალის მიუტანლობის გამო ტელეკომპანიაში მოსალოდნელ მწარე ყურის აწევას და „ტრამპლინიდან“ დაცურებას აეროპორტში ასაკოვანი დეპუტატის მიერ „უვნებელი“ ყურის აწევა (როგორც ახლა ჩანს, უფრო მამრამ უნდა აწენა) გერჩივნათ!  
გილირდათ, „საფრენად“ გამზადებულს და იმიტომ.  
თუმცა, ნურც ისეთი გულუბრყვილო გეგონებით, ბუდარა ბატონო, რომ დავიჯერო, თითქოს მართლაც რეალურად თქვენ იყავით ყველაფერი და უთქვენოდ ვერავინ, ლამის თვით მინისტრიც ვერ ეტყუოდა ვერაფერს ჟურნალისტებს!  
ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. ახლა კი ტელევიზიის ერთი გადაცემის ფრაგმენტი მინდა გავიხსენო, ამ მასალის დანერა რომ გადამანყვეტინა.  
თუმცა მანამდე ერთი ძველი ანეკდოტი:  
მარომ ტელეატელიეში ხელოსანს სთხოვა, იქნებ ტელევიზორზე მანქანის „ჩისტიტელევი“ დამიყენო.  
რად გინდაო, გაუკვირდა ხელოსანს.  
რად და, ეს ჩემი სასიკვდილე მისო რამდენჯერაც ბრეჟნევის დიანახავს ტელევიზორში (იმ გარდაცვლილის სულთანაც ბოდიშს ვიხდით და მკითხველთანაც), იმდენჯერ ეკრანს აფურთხებს და მოკვდი მისი წმენდითო.  
ჰოდა, იმ ტელეგადაცემის ყურების შემდეგ მეც ლამის სწორედ ისეთ ხასიათზე დავდექი, როგორც თურმე მისო დგებოდა ეკრანზე ბრეჟნევის ყოველი გამოჩენისას.  
მოგახსენებთ იმ ფრაგმენტის შესახებ:  
ჟურნალისტმა აჭარის პროკურორს სთხოვა, იქნებ ამ საკითხზე (თუ არ ვცდები, აჭარის ცნობილი მოვლენების წინა დღეებში ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძის ცემის ფაქტზე) კომენტარი გააკეთოთო.

ამას როგორ დაგზარდებოდათ, ჩემო კარგებო, მაგრამ ჯერ ჩვენი პრესსამსახურისგან უნდა ავილო ნებართვაო, - დაახლოებით ასე უპასუხა პროკურორმა.  
ისევე ამა სიმატლით ევლოთ ისედაც საბარტალ და სიმატლითაგამრუდეპულ ჩვენს პროკურატურა-სასამართლოს-მეთქი, მივაპასხა!  
ხედავთ, ხალხო და, უნდა რე-სად, ჩემო კოლეგებო, რა ხდება? ჩვენი კი ვტირით და ვწუნუნებთ, ჟურნალისტს არავინ არაფრად აგდებსო!  
კი, მაგრამ ასეთ „მამალ“ ტყუილს ვინ ჭამს დღეს, ბატონო პროკურორო? თქვენდამი დიდი პიროვნული პატივისცემის მიუხედავად, რანაირად დავიჯერო, რომ ენაზე სწორედ ჩემმა კოლეგამ დაგალოთ ბოქლომი და უიმისოდ, უფრო სწორად, მისი ნებართვის გარეშე კრინტსაც ვერ დაძრავთ?  
თუმცა ეს მართო თქვენ როდი გეხებათ, ბატონო პროკურორო. თქვენი სახით მთელ ჩვენს ხელისუფლებას, უმაღლეს ხელისუფლებას ვგულისხმობ, ვისი ნება-სურვილითაც არის ასე შეზღუდულ-დამცირებულ-დაკნინებულ-დამეჩრავებულ-და, რა ვიცი, კიდევ რა-დამართულები ჩვენი მასმედია, თორემ ამ ჩვენს თანამედროვე ბუდარებსა და ბუდარისებს, მავანთაგან დამოძღვრილი ერთ ხმაზე რომ „ჭიკჭიკებენ“, ვინ ეკითხება, ბალი ორ და ათ შაურად გავყიდოთ თუ უფრო ძვირადო!

### 306 „ჩამოალაპორანბა“ პროკურორაბი თუ მინისტრაბი და „ალაზევა“ ჟურნალისტაბი?



თუ მესხიერება და ინტუიცია არ მღალატობს, ყველაფერი ჩვენს სამოში დონ კორლეონობის მოსურნე დონ გურამით - „რუსთავი-2“-ის ყოფილი ჟურნალისტი გურამ დონაძით დაიწყო, როდესაც იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურს ჩაუყენეს სათავეში.

უნყებაში, რომლებშიც, ყველასთვის გასაკვირად, რატომღაც „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ (ჩემი აზრით, აჯობებდა გვეთქვა, „ხალხზე გამარჯვებულის“) - „რუსთავი-2“-ის ყოფილი თანამშრომლები მოგვევლინენ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ხელმძღვანელებად.

სანამ პასუხს გვეტყოდეთ, მე დაგასწრებთ: ჩემთვის თქვენ სწორედ ის ბუდარა ხართ! რატომ?  
ხომ გახსოვთ, რა სასტიკად ექცეოდნენ ხლისტები ბუდარასა და ბუდარისას?  
ისიც გეხსოვებათ, დათა თუთაშხიას დახმარებით წელგამართული და მონობისგან თავდახსნილი ბუდარა მერე იმაზე ცუდ დღეში რომ აგდებდა თავის მონას, ვიდრე მას ხლისტები აგდებდნენ (თუმცა ბოლოს კი დამართეს ხლისტებმა თავისი ღირსიც იყო!).  
ახლა პარალელი და მცირე შეგონება:  
ხომ გახსოვთ, დონ გურამ, უთქვენოდ ერთი ჩიტიც (ამ შემთხვევაში ჟურნალისტი) რომ ვერ შეფრინდებოდა თქვენს

**უაზრო ხმაური არ მსურს, უაზრო ღუბილი მიჭირს, უკეთუ არ გამცემ პასუხს - შევითხვის წამართვი ნიჭი. მუხრან მაჭავარიანი**

გაგვიხარდა: ვინ, თუ არა მან, ჟურნალისტად ნამუშევარმა (დახ, ჟურნალისტად ნამუშევარმა და არა მონოდებით ჟურნალისტმა, რადგან იგი რომ შინაგანად ურნალისტი ყოფილიყო, ასე არ მოექცეოდა კოლეგებს!) იცის რაოდენ მნიშვნელოვანია მასმედიის წარმომადგენლებისთვის მათთვისაც და საზოგადოებისთვისაც საინტერესო და ღირებული ინფორმაციის დროული მიღება-გაშუქება.  
მაგრამ თურმე სადა ხარ! სწორედ მისი მოსვლის შემდეგ გადაიკეტა მასმედიისთვის პრაქტიკულად ინფორმაციის ყველა წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტროს ფაქტობრივად არც ერთი ჩინოსანი არ იძლეოდა ჟურნალისტებისთვის საინტერესო და საჭირო მონაცემებს - დონაძემ უნდა გვითხრასო (ასევე იყო და არის თითქმის ნებისმიერ სამინისტროსა თუ

დონ გურამი კი ხან „კის“ ეუბნებოდა მათ, ხანაც, უმეტეს შემთხვევაში - არას.

თუმცა რატომ დონ გურამი? მისთვის, ჩემი აზრით, სხვა სახელი უფროა უპრიანი.

თუ რომელი, ახლავე მოგახსენებთ.

მანამდე კი ერთი შეკითხვა დონ გურამს:

როგორ მოგწონთ ბუდარა „დათა თუთაშხიდან“, ბატონო გურამ? დადებითი პერსონაჟია იგი თუ უარყოფითი? თქვენი აზრით, ნიგნის წაკითხვისა თუ ფილმის ნახვის შემდეგ კარგი შთაბეჭდილება დარჩება მასზე მკითხველ-მაცურებელს თუ ცუდი?

„სამფლობელოში“ - შინაგან საქმეთა სამინისტროში და სასურველ ინფორმაციას ვერ მიიღებდა (ამას ვერ უარყოფთ)?  
ისიც გეხსოვებათ, რა ცუდ დღეში ვარდებოდათ ჟურნალისტად მუშაობისას, თქვენთვის სასურველ ინფორმაციას თუ ვერ მოიპოვებდით, და როგორი შეუპოვრობით იბრძოდით ნებისმიერი ხერხით მის მიხედვად (ალბათ, ახლაც გტკივთ ის ყური, სწორედ ამგვარ

## ინფორმაცია

### ირაკლი კოვზანაძე პროვინულ ბანკს აპრიტიპებს

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელის ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, ეროვნულ ბანკს გასულ

წელს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრისას რისკების პროგნოზირება გაუჭირდა.

„2006 წელს ინფლაციის დონემ 8,8 პროცენტი შეადგინა, ხოლო ივნისის თვეში 14,5 პროცენტი, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 1995 წლის შემდეგ. ეროვნულმა ბანკმა ინფლაციის მატება გარე ფაქტორებით ახ-


სნა, მათ შორის, როგორცაა, ენერგომატარებლების გაძვირება, ქათმის გრიპი და კონტრბანდის შემცირება, თუმცა, მიმაჩნია, რომ ეგზოგენური ფაქტორების წილი ინფლაციის დონის ზრდაში მხოლოდ ორი მე-სამედიანა - განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ ეროვნული ბანკის ყოველწლიურ ანგარიშთან დაკავშირებით.

კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, ფასების მატების პროგნოზირება ჯერ კიდევ გასული წლის მაისში იყო შესაძლებელი, რომელიც შემდეგ ტენდენციად იქცა, ეროვნულმა ბანკმა კი შესაბამისი ღონისძიებების მიღება დააგვიანა. კოვზანაძის თქმით, ჭარბი ფულის ამოღებისთვის სადევოზიტო სერტიფიკატების აუქცი-

ონების ორგანიზება ეროვნულმა ბანკმა მხოლოდ სექტემბრის თვეში დაიწყო, რაც გაცილებით ადრე უნდა განხორციელებულიყო.

კოვზანაძე ასევე უკმაყოფილო დარჩა დედოლარიზაციის პროცესში მიღწეული შედეგებითაც.

ინფორმაციის



Volume 6 Georgian Architecture A documented photo-archival collection on microfiche with 47,000 photographs for the study of Early and Late Medieval Christian Architectural Arts of Georgia and its historical area of settlement.

გამოიცა ნიდერლანდების სამეფოში

მაგიდაზე მიდევს ვრცელი ანოტაცია ვებერთელა ნაშრომისა - „ქართული არქიტექტურა. ტომი VII“, რომელიც ახლახან მოამზადა და ჩააბარა გამოსაცემად ნიდერლანდების სამეფოში არსებულ ცნობილ კომპანიას IDC (Inter Documentation Company)-ს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის, ძეგლთა დაცვისა და ეროვნული კვლევის ცენტრის თანამშრომელთა ჯგუფმა. მრავალტომეულის გამოცემის მოთავეა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, გამოცემას IDC ახორციელებს თავისი ხარჯით, გამოცემის რეალიზაციის უფლებით.

ლიოგრაფია (ნ. ანდულაძე), ხოლო წინასიტყვაობაში მსოფლიოში ცნობილი ბიზანტიოლოგი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ქირილ მანგო ხაზს უსვამს მრავალტომეულის გამოცემის აუცილებლობას და აღნიშნავს: „ის, რომ ქართული ძეგლები ასეა მიმოვანტული და ბევრი მიუდგომელი ადგილები, აძნელებდა საგნის ნამდვილად ყოველმხრივ შესწავლას. სწორედ ამის გამო არის ეს პროექტი ესოდენ მნიშვნელოვანი, რადგან იგი შეავესებს თბილისის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მიერ ათწლეულობით დაგროვილ მასალას... ამ ნაშრომის შედეგია ამომწურავი არქივი, განლაგებული გეოგრაფიული ნიშნით, რომელიც საბოლოო ჯამში შუა საუკუნეების კავკასიური ხელოვნების ყველაზე უფრო თვალსაჩინო ნიმუშების შესწავლას აფუძნებს ახალ და მაღალ მეცნიერულ საფუძველზე“.

იმისა, რომ პროვინციული დონე კიხობების - გორბაჩოვ-შეგარდნადის ტანდემის ნაჯექუკუჯექობითი „დიპლომატია“ სულ მალე დაასამარებდა სოციალისტურ ზესახელმწიფოს და ამიტომაც ორივე სახელმწიფოს მოქალაქეთა სწრაფვას მშვიდობის დაცვისკენ მყარი საფუძველი გააჩნდა.

დომაზე: „როცა თქვენი წინაპრები ჯერ კიდევ ტყეებში დარბოდნენ საზრდოსათვის, ჩვენი წინაპრები „წმიდა ოთხთავს“ თარგმნიდნენ ბერძნულიდან!“ ჩემი პასუხიც ამგვარი ხასიათისა იყო: „XX ს. ა. უ. კ. უ. ე. შ. ი. ბ. რ. წ. ყ. ი. ვ. ა. ლ. ე. სამშენებლო ტექნიკის მეშვეობით, რა საოცრებაზეა საუბარი? საოცრება ისაა - როცა თქვენი წინაპრები ტყე-ღრეშიც არ დარბოდნენ საზრდოსათვის, რადგან უკაცრიელ მანჰატანსა და ლონგ-აილენდზე საერთოდაც არ ბინადრობდნენ ალბათ, ჩემი წინაპრებმა VI საუკუნის მინურულში, საქართველოს იმ დროს უკვე ქრისტიანული სამეფოს დედაქალაქ მცხეთაში, მაღალ მთაზე, კლდის ქიმზე

ანეულ, სულის ამამალებელ ტონს თანამედროვე მელექეთა უბადრუკი, პროდასავლური ბოლშევიკი ჩაენაცვლა; როცა ყველაფერი ეს იმქვეყნიურ სამოთხედ მიჩნეული დასავლეთის ცივილიზაციის გლობალიზებულმა ტალღამ გადაფარა, განარაღა გასაკვირველი, რომ ხუროთმოძღვრებაშიც აღარაფერი ჩანს კლასიკური მოტივებისა, თუნდაც ფრაგმენტულად - თუ მხედველობაში არ მივიღებთ წმინდა სამების ახალ აგებულ ტაძარს!

ქართული ხუროთმოძღვრების დიდებული ძეგლი

ჩემი შესანიშნავი, მაღალკომპეტენტური, მკლავმაგარი და მუსხრანაუხრელი კოლეგებისა და მეგობრების გუნდის პროფესორ ნუგზარ ანდულაძისა და არქიტექტორ თამაზ დვალის ხელმძღვანელობით, ფლერ დევდარიანის, ლია გაბენავას, მზია ბაქრაძის მონაწილეობით და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ააჰენის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის კათედრის გამგის პროფესორ გუნდოლფ ბრუნსჰაუზის თანამშრომლობით, 1991 წლიდან ამზადებდა ზღვა მასალას შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების მიკროფიშებით გამოსაცემად.

ასე დაიწყო თავიდან ყველაფერი! ამჟამად გამოცემულ შვიდ ტომში განთავსებულია ქართული ხუროთმოძღვრების 1500 ძეგლის 42 ათასი გამოსახულება მიკროფიშებზე, 5 ათასი ნახაზი და ძეგლთა აღწერი-

(რომელშიც, სხვათა შორის ისეთი საქვეყნოდ ცნობილი პოლიტიკოსები სწავლობდნენ, როგორც სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის 20 წლის უცვლელი თავმჯდომარე უილიამ ფულბრაიტი, XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში დემოკრატი პრეზიდენტი უილიამ (ბილ) კლინტონი და მისი მეუღლე, აშშ-ს შესაძლო მომავალი პრეზიდენტი დემოკრატიული პარტიიდან ქალბატონი ჰილარი კლინტონი), მასპინძლებმა, რომელთაც ძალზე აინტერესებდათ, მოგვხიბლა თუ არა ამერიკის შუქმფენმა სიდიადემ, გარკვეული ქედმაღლობით მკითხეს: „რამ გაგაოცათ, ბატონო პროფესორო, შტატებში საერთოდ, ან სან-ფრანცისკოსა და ნიუ-იორკში კერძოდ?“

პირველი ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძარი ააგეს, რომლის ანალოგი მაშინდელ ახლო აღმოსავლეთში საერთოდ არ არსებობდა და რომელიც დღესაც ამაყად გადმოჰყურებს მცხეთაში XI საუკუნის დასაწყისში აგებულ სვეტიცხოვლის დიდებულ საკათედრო ტაძარს. ჩამორძინდით და იხილეთ, ბატონებო!“



მარცხნიდან ნ. ანდულაძე, გ. ბრუნსჰაუზი და თ. დვალის პრეზენტაციის დროს.

ვუპასუხე რამდენადმე ქვეშევრდული გამოწვევით, არაფერმა-მეთქი. ამგვარმა მოულოდნელმა პასუხმა დამსწრეთა შორის ერთგვარი შოკი გამოიწვია: „როგორ? არც სან-ფრანცისკოში ულამაზესმა ხიდმა „გოლდენ-გეიტმა“, არც დალასის, ან ნიუ-იორკის „ემპაირ სტეიტ ბილდინგმა“ და მსოფლიო სავაჭრო ცენტრის „ორმა ტყუბმა“ ცათამბჯენმა?“

სამწუხაროდ, ამერიკელთა საპასუხო ვიზიტი ვეღარ შედგა, რადგანაც 90-ანი წლების დასაწყისში ურატორიოტ ქართველებსა და მათ მიერ განდევნილ ძირმომპალი რეჟიმის მესვეურებს ძალაუფლებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მოუწდათ და, აბა, ვილას ეცალა ან ჯვრის ან სვეტიცხოვლის ტაძრების საიდებე, ააღ!

ტოების გადასაღებად, აღსაწერად, არქივებსა თუ კერძო პირთაგან მასალის მოსაპოვებლად, დასამუშავებლად და გამოცემისათვის მოსამზადებლად. რვატომეული, რომლის გასრულებაც 2009-2010 წლებისთვისაა გამიზნული, იქნება უნიკალური, ენციკლოპედიური საგანძურის ქართული ხუროთმოძღვრებისა და მონუმენტური კედლის მხატვრობის შესახებ.

ლობები 2 ათასი გვერდის მოცულობით.

უნდა გამოვცადე, ვერასდროს ვიტანდი მატერიალური კეთილდღეობით გაქსუებულთა თავდაჯერებულ ქედმაღლობას, რომელთაც არც ინტელექტი გააჩნიათ საკმაო ოდელობით და არც ელემენტარული ზრდილობა. ამიტომაც, სულ ცოდევილო, მოურიდელოდ დავესესხე რუსეთის იმპერიის „სახელმწიფო დუმის“ ქართველ დეპუტატს, მენშევიკ ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძეს, რომელმაც გამანადგურებელი ირონიით უპასუხა რუს „შავრაზმელ“ დეპუტატს ვლადიმირ პურიშკევიჩს მის ანტიქართულ გამოს-

ვითქმის აღარაფერი შემოგერჩა თვითმყოფადი - განათლებულ ბაში, მეცნიერებაში, კულტურაში, ეკონომიკაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში; როცა თითქმის თავზე გვენგრევა საამაყო ძეგლები ჩვენი სამშობლოს გარდასული დიდებისა; როცა კასპის ზღვაში ნავთობისა და გაზის ბუდობების პატრონი მეზობელი დავით-გარეჯს - ჩვენს ქრისტიანულ სავანეს მოურიდელოდ გვეპოვინება; როცა თითქმის ყველაფერი - უტკბილესი მელოდიკა ქართული პოლიფონიური გალობისა, ქართული ქალ-ვათა კდემამოსილი და ამავე დროს ვაჟკაცური ცეკვა ლამის უხამსმა კაკოფონიამ და მანჭვა-გრეხამ წალეკოს; როცა გალაკტიონის, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის, ლადო ასათიანის, ანა კალანდაძის, მურმან ლებანიძის, შოთა ნიშინაძის პოეტიკის ზე-

გასული საუკუნის 80-ანი წლების შუა ხანში ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულმა მშვიდობის მომხრეთა ერთერთმა გავლენიანმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ საბჭოეთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის სოლიდური დელეგაცია მიიწვია, რამდენიმე ჯგუფად დაყოფილი. მაშინ ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო, რით დამთავრდებოდა კონფრონტაცია ორ ზესახელმწიფოს შორის. ძნელი იყო წარმოდგენა

მრავალტომეულის პირველ ტომს თანდაერთული აქვს ცალკე წიგნად დასტამბული ცნობარი, რომელიც მკითხველს აცნობს (ცხადია, ესეც ინგლისურ ენაზეა) საქართველოს გეოგრაფიას (თ. დვალის), ისტორიას (მ. ლორთქიფანიძე), ენისა და დამწერლობის ისტორიას (შ. აფრიდონიძე, ვ. სილოგავა), პროექტის ისტორიას (გ. ბრუნსჰაუზი) და, ბუნებრივია, ხუროთმოძღვრებას (ვ. ბერიძე); მეგზურს ასრულებს ვრცელი ბიბ-

№ 90. მაგაბი. 12 მაისი. 2007 წელი.


ხელმწიფის კიდევ ერთი მაგალითია ამერიკის შეერთებულ შტატებში „Rensselaer Polytechnic Institute“-ში მომზადებული და ნიდერლანდებში 1988 წელს გამოქვეყნებული „სომხეთის არქიტექტურის“ შვიდტომეულის VI ტომი, პროფესორ ვ. ფარსეგიანის ხელმძღვანელობით.

## პიროვნება

# სიბღი ბავშვობიდან მოყოლებული სიყვარულისა

საქართველოში, ჩვენი და ებრაელების თანაცხოვრებაზე ბევრი დაინერა და მომავალშიც ბევრი დაინერება, რადგან იგი საუკუნეების მიღმა დაინყო და ანალოგი არ გააჩნია. მისი საძირკველთა-საძირკველი ჩვენი ურთიერთსიყვარულია. ისტორიულად, ჭირიცა და ლხინიც საერთო გვექონდა და ძმურად, ერთად ვიყოფდით. სწორედ ეს იყო წყარო იმ ცრემლებისა, არცთუ დიდი ხნის წინათ, ისრაელში მასობრივად მიმავალი ჩვენი ებრაელებისა და გამცილებელი ქართველების თვალებიდან ერთნაირად რომ იღვრებოდა. ცრემლი კი იქ იღვრება, სადაც სიყვარულია.

დით, კარნახით გავდიოდით იოლას. საბოლოო ჯამში, სულ ცოტა „სამიანი და ჯანმრთელობა“ ხელთ გვეჭირა. სკოლის დამთავრების შემდეგ, როგორც ამ დროს ხდება, ყველა წავიდნამოვედით. დავითმა თავიდანვე მეცნიერული




სფეროსკენ აიღო გზი და უნივერსიტეტში, ფიზიკის ფაკულტეტზე უპრობლემოდ ჩაირიცხა. მსგავსად საშუალო სკოლისა, უნივერსიტეტიც წარჩინებით დაამთავრა, საკანდიდატო დისერტაცია სადოქტოროთი დაავიჯრგინა და ფიზიკის კათედრაზე განაგრძო სამეცნიერო მოღვაწეობა. ინტელიგენტური გარეგნობა, მაღალი შინაგანი კულტურა, კოლეგებს, თანამშრომლებს და სტუდენტებს ახალგაზრდობას მის მიმართ პატივისცემით განაწყობდა. თავისი დარგის პროფესიონალ მეცნიერს, პროფესორს, ურთიერთგამოცდილებს გაცვლის მიზნით, ხშირად უწევდა შემოქმედებითი მივლინება ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. რეგულარული კონტაქტები კოლეგებთან მის მაღალ მეცნიერულ ავტორიტეტზე მიუთითებს. ნაყოფიერია მისი საქმიანობა საზოგადოებრივ სფეროში. იგი აირჩიეს მსოფლიოს ებრაელთა სეფერადების კონგრესის წევრად, სათავეში ჩაუდგა ქართველ ებრაელთა განყოფილებას და დიდი წვლილი შეიტანა საქართ-

ველოსა და ისრაელის დაახლოება-დამეგობრების კეთილშობილურ საქმეში. ამ ღვაწლისთვის, იგი თბილისის საპატიო მოქალაქედაც აირჩიეს. ახლა იგი წარმატებით აგრძელებს მეცნიერულ მოღვაწეობას ისრაელში, ხელმძღვანელობს სამეცნიერო ლაბორატორიას და თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს ისრაელის მომავალ თაობას.

თბილისის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია და როგორც კი ნოსტალგია მოეძალდა, სტუმრობს მშობლიურ თბილისს. ჩამოსული, პირველ რიგში, პატივს მიაგებს მშობლების სამუდამო განსასვენებელს, შემდეგ ჩვენთან ერთად გაიხსენებს ხალისიან, უდარდელ ბავშვობას და მომავალ ჩამოსვლამდე დაგვემშვიდობება. ასე გრძელდება, აგერ უკვე ათი წელია.

მიზუნი ამ პატარა მოგონებებსა, მისი საიუბილეო თარიღია - ვარდობის თვეს მას 70 წელი შეუსრულდა. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და შემდგომ წარმატებებს თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

ალბერტ გულისაშვილი



თბილისში ებრაელები, ძირითადად, სიონისა და სინაგოგას მიმდებარე ტერიტორიაზე კომპაქტურად სახლობდნენ. სოლოლაკში, ყოფილ ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლაში, ჩვენთან ერთად სწავლობდნენ. ომი ახალი დამთავრებული იყო. მოსახლეობის ყველა ფენას ერთნაირად უჭირდა. თბილისურმა ეზოებმა (ვილაც „ჭკუთამყოფელმა“, რატომღაც იტალიურ ეზოებად რომ მოხატა) გაჭირვებაში მყოფი მოსახლეობა, განურჩევლად ერისა, კიდევ უფრო დაგვახლოვა და ეს გაჭირვება იოლად გადაგვატანინა. ეზოებში შე-

ძენილი სიტბო, ბავშვებს სკოლაშიც გაგვყვა და სამუდამოდ დაგვამეგობრა.

მსგავსად ყველა სკოლისა, ჩვენ სკოლაშიც იყვნენ სწავლაში წარმატებულნი და ნელკავიანები. წარმატებულთა შორის, ჩვენ კლასში დავით ბაზოვი ლიდერობდა. იგი იყო ღირსეული გამგრძელებელი, ებრაელთა შორის ამ პატივცემული გვარის ტრადიციებისა. ტექნიკურ საგნებში მას ბადალი არა ჰყავდა. კლასში გადაწერის ტექნოლოგია ყველა-სათვის ნაცნობი ხილია და ვეტმასნებოდით ჩვენ ლიდერს. რასაც გადაწერით ვერ ვახერხებ-

## გამოიცა ნიღარლანდავის საბეჭოვი

# ქართული ხუროთმოძღვრების დიდებული ძეგლი

(გაზეთი გაერდიან)

ამიტომაც ეკუთვნის ჩვენი, ქართველების უღრმესი პატივისცემა ქ. ააჰნის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის კათედრის გამგეს პროფ. გუნდოლფ ბრუხპაუზს, რომელიც თ. დვალთან და ნ. ანდლულაძესთან ერთად უნიკალური ნაშრომის ერთერთი რედაქტორია. სწორედ მისი აქტიური მუშაობის შედეგად გახდა შესაძლებელი გამოცემლობასთან კონტაქტის დამყარება და მრავალტომეულის გამოცემის დაწყება. 1973 წლიდან 1990 წლამდე გ. ბრუხპაუზი სისტემატურად მონაწილეობდა თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში - ისტორიულ ტაო-კლარჯეთში მონყობილ ექს-

პედიციებში. მას აზომილი და ფოტოგრაფირებული აქვს ამ მხარეში განლაგებული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ათეულობით ძეგლი. 1983-1989 წლებში იგი მონაწილეობდა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ V და VI საერთაშორისო სიმპოზიუმებში. 1989 წელს გ. ბრუხპაუზის თბილისში ვიზიტის დროს ქართული ენციკლოპედიის მრავალტომიანი გამოცემის „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობისათვის“ ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ძეგლთა აღწერის განყოფილების მიერ მომზადებული ასეულობით ხუროთმოძღვრული ძეგლის ტექსტობრივი, გრაფიკული და ფოტომაშალის ნახვის შემდეგ, ქართული კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიოსათვის გაცნობისა და პროპაგანდის მიზნით, გაჩნდა ხუროთმოძღვრულ ძეგლთა მიკროფორების საშუალებით (ინგლისურ ენაზე) გამოცემის იდეა.

როგორც უკვე ითქვა, 1991 წელს პროექტი მოინალსაქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ. მოკლე ხანში გამოცემლობა IDC-თან გაფორმდა სათანადო კონტრაქტი და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში შეიქმნა მეცნიერთა

ჯგუფი, რომელიც 1991 წლიდან შეუდგა მრავალტომეულისათვის მასალების მომზადებას. სპეციალურად გამოცემისათვის ჩატარდა მრავალი ხუროთმოძღვრული ძეგლის მეცნიერული აღწერა, აზომვა და ფოტოგადაღება.

გამოქვეყნებულ შვიდ ტომში უღრმესი მადლობითაა გამოყენებული ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის და საქართველოს კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამინისტროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის არქივებში დაცული ფოტო და გრაფიკული მასალა.

მასალების მომზადებაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩომ, სწორედ მათ მიერ იქნა შეძენილი კრებულის ექვსი ტომი, რომლებიც მიკროფორების საჩვენებელ მონყობილობასთან ერთად, საჩუქრად გადაეცა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას.

1994 წელს გამოქვეყნებული კრებულის პირველ ტომს 1996 წელს მიენიჭა რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. პროფესორი გ. ბრუხპაუზი მრავალტომეულზე მომუშავე ჯგუფის ქართველ წევრებთან ერთად ამ პრემიის ლაურეატი გახდა - სხვათა შორის, ამ პრემიის პირველი უცხოელი ლაურეატი.

ვეებერთელა რვატომეულში მასალა განთავსებულია საქართველოს ისტორიული მხარეების მიხედვით:

- I ტომი - შიდა ქართლი (ცენტრალური ნაწილი);
- II „---“ - შიდა ქართლი (მთიანი ნაწილი);
- III „---“ - კახეთი;
- IV „---“ - ქვემო ქართლი;
- V „---“ - თბილისი, თორი, თრიალეთი, სამცხე-ჯავახეთი;
- VI „---“ - იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი;
- VII „---“ - აფხაზეთი, აჭარა, გურია, სამეგრელო, სვანეთი;
- VIII „---“ - საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ძეგლები.

ვფიქრობ, რომ მისი დასრულების შემდეგ ეს უნიკალური ნაშრომი - „ქართული არქიტექტურა ტომები I-VIII“ უდავოდ დამკვიდრდება ძეგლად ქართული თვითმყოფადი გენიისა, მადლიერ შთამომავალთა მიერ მომავალ ასწლეულებში განფენილი, თუკი საქართველოს, ჩვენს დედაამისთან ერთად, კვლავაც უწერია არსებობა!

ვფიქრობ, ასევე არ იქნებოდა ურიგო, თუკი თბილისის მერია, ამგვარი უანგარო მხარდაჭერისა და დახმარების აღსანიშნავად ქალაქ ააჰნის სახელს თბილისის რომელიმე ქუჩას მინიჭებდა ქ. საარბრიუკინის ანალოგიით. ააჰნი, ევროპის დასავლეთში მდებარე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის, ნიდერლანდებისა და ლუქსემბურგის გზაგასაყართან აღმართული, უკვე VIII საუკუნის მინურულიდან წარმოადგენდა ფრანკთა გიგანტური სამეფოს დედაქალაქს, 800 წლიდან უკვე ფრანკთა ლეგენდარული იმპერატორის კარლ დიდის საგანს, დასავლეთში ქრისტიანობის

განვრცობის ბურჯს თავისი შენაწილავი არქიტექტურით. რად ღირს თუნდაც ააჰნის საკათედრო ტაძარი ოქროთი მოოჭვილი საკურთხევლის კარედით!

დასასრულ, ვფიქრობ, რომ კიდევ ერთხელ - საბოლოოდ და მკაცრად! - უნდა გაეცეს ღირსეული პასუხი სომეხ (და არა მხოლოდ სომეხ!) მეცნიერთა მიერ ქართული სასულიერო და საერო კულტურული მემკვიდრეობის მითვისების მრავალგზის უმსგავსო მცდელობას.


ამგვარი ხელმწიფის კიდევ ერთი მაგალითია ამერიკის შეერთებულ შტატებში „Rensselaer Polytechnic Institute“-ში მომზადებული და ნიდერლანდებში 1988 წელს გამოქვეყნებული „სომხეთის არქიტექტურის“ შვიდტომეულის VI ტომი, პროფესორ ვ. ფარსეგიანის ხელმძღვანელობით. ამ ტომში გაავერებული მიმტაცებლების მიერ, ვითომდაც სომხური, სრულწიად ურცხვად შეტანილია ისტორიული ტაო-კლარჯეთის ცნობილი ქართული ძეგლები არტანუჯი, ახიზი, ბანა, ოშკი, ტაოსკარი, ურთა, ფანასკერტი, სახული და სხვ.

როდემდე ვითმინოთ ამგვარი მკრეხელობა ქრისტიანთა ქართველობამ ასევე ქრისტიანი სომხებისგან?


ამიტომაც ესაჭიროება ყოველმხრივი თანადგომა და მხარდაჭერა ჯგუფს, რომელსაც მოსამზადებელი აქვს VIII ტომი საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე, მათ შორის, ტაო-კლარჯეთის ძეგლებზეც.

მინდა მჯეროდეს, რომ ერის ჭეშმარიტ შევილათ ერთსულოვნებითა და თანადგომით ისტორიული სიმართლე იხეიმატ!

ნოდარ კიკვაძე, პროფესორი



გამოსავალი ერთია. თუკი შევხებით სასმელ წყალს, გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით უნდა შევიქმნას სამთავრობო და არა-სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებული კომისია, რომელიც შეისწავლის შპს „თბილისის წყლის“ სანარმო-ფინანსურ მდგომარეობას, არსებულ პრობლემებს, სატარიფო პოლიტიკას და ამის შედეგად გამოიტანს დასკვნას



ქვემოთხატი  
ბინა

## მოხსენებები

ნაბისიერი, მით უმეტეს დემოკრატიული, სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, მთავარი მამოძრავებელი ძალა ქვეყნის ბიუჯეტში გადახედულ შენატანია. რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, თანაც თუ მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უკეთესობისკენ დინამიკურად იცვლება, ქვეყნის მოსახლეობა (ფიზიკური და იურიდიული პირების სახით) და ხელისუფლება წარმოშობენ ერთიან, შეკრულ ძალას, რაც ამავე სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების ძირითადი წყაროა.

თუ ამ კუთხით შევხედვით მოსახლეობისადმი შპს „თბილისის წყლის“, დედაქალაქის მერიის და საკრებულოს მიდგომას, როცა სასმელი წყლის მოხმარებისა და საკანალიზაციო მომსახურებისთვის გადასახადების ამოღების მიზნით, გამოიყენება კანონსწინააღმდეგო ბერკეტი, მათი ნამოქმედარი, სისხლისკამათის დანაშაულის ტოლფასია. დემოკრატიულ საქართველოში ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას ქვეყნის მოქალაქეების კანონიერი უფლებები და არა პირიქით — მიღებული გადაწყვეტილებით გააუარესოს მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ჩვენში სწორედ ამ უკანასკნელს ეძლევა

ლისა, აისახება სასმელი წყლის ტექნიკური დანაკარგის აშკარა ზენორმატიულ მაჩვენებელში. დანაკარგის შესამცირებლად 2005-2006 წლებში, როგორც თავად შპს-ის ხელმძღვანელობა ოფიციალურად იუწყება, ქსელში ჩატარდა გარკვეული მოცულობის სარაბილიტაციო სამუშაოები.

დასახელებულ პერიოდში „თბილისის წყლის“ სანარმოო და ტექნიკურ-ფინანსურ აღმავლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დედაქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფილმა დოტაციამ, რომელიც ბევრად აღემატება წინა წლების ანალოგიურ მაჩვენებელს. 2006 წლის საფინანსო მონაცემების მიხედვით, მან ბოლო 14-15 წლის განმავლობაში პირველად მიიღწია მოგებას, რამაც ჩატარებულ სარაბილიტაციო სამუშაოებთან ერთად ის განაპირობა, რომ „თბილისის წყალმა“ მიიღო ხარისხის

მმართველობის აპარატის მუშაობა, განსაკუთრებით გენერალურ დირექტორსა და მის ადგილელებზე, რომელთაც ევროპული დონის ხელფასები დაინიშნეს.

დაიხ, შპს „თბილისის წყლის“ წარმატება არსებითად განაპირობა დედაქალაქის გადახდელით აკრეფილმა გადასახადებმა, მაგრამ როცა თბილისის მერია ეწეოდა ამ კამპანიის ფართომასშტაბიან პროპაგანდას, ეს რატომღაც არავის გახსენებია. რატომ?

გასაგებია, რატომაც მიაჩუქათეს ეს ფაქტი. ეს რომ ელიარებიანათ, მაშინ თბილისის საკრებულო, რომელმაც 2007 წელს „თბილისის წყალს“ არ დაუმტკიცა ბიუჯეტიდან ფინანსური დოტაცია, მოსახლეობას და იურიდიულ პირებს ვეღარ გაუორმაგებდა არსებულ სატარიფო განაკვეთებს, რომლებიც, შესაბამისად, გახდა 2,4 და 4,8 ლა-

ბუნებრივია, ტარიფის გაძვირება უარყოფითად აისახება როგორც მოსახლეობის, ასევე სანარმო-კომერციული ორგანიზაციების ეკონომიკაზე, რაც უდავოდ საზარალოა ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტებისთვის.

კომუნალური მრიცხველების დაყენებით თანაბარ პირობებში ექცევა გადახდელი და არგადამხდელი, რითაც ირღვევა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის უფლებები.

საკრებულოს გადაწყვეტილება თანაბარ პასუხისმგებლობას აკისრებს გადახდელს და არგადამხდელს, რის გამოც გადახდულობის შემთხვევაში სასმელი წყლის მიწოდება უწყდება მოსახლეობის ორივე ნაწილს.

მან კი მოსალოდნელია, რომ გამოიწვიოს არაპროგნოზირებადი კონფლიქტები. როგორც გადახდელს და არგადამხდელს, ისე მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის.

წყლის გაზრდილი ტარიფი, თავის მხრივ, გამოიწვევს სამომხმარებლო ბაზარზე პროდუქციის ფასების ზრდასაც, რაც კიდევ უფრო გააუარესებს მოსახლეობის ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, სანარმო-კომერციული სტრუქტურების ეკონომიკას, გზას გაუსწოს ინფლაციას.

შექმნილი მდგომარეობა გააძლიერებს ჩრდილოეთ ეკონომიკას, რის გამოც მუდმივი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტები.


მოსახლეობისთვის სასმელი წყლის შეზღუდვა შექმნის წინაპირობას ანტიანტიტარიფისა და ინფლაციური დაავადებების გავრცელებისათვის.

მოსახლეობასა და სანარმო-კომერციული სტრუქტურების რიგებში, რომლებიც ისედაც იჭყლიტებიან კაბალური გადასახადების გამო, კიდევ უფრო მოიმატებს ლატაკთა რიცხვი და განაკროტებული კომერციული სტრუქტურების რიცხვი.

გამოსავალი ერთია. თუკი შევხებით სასმელ წყალს, გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით უნდა შევიქმნას სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებული კომისია, რომელიც შეისწავლის შპს „თბილისის წყლის“ სანარმო-ფინანსურ მდგომარეობას, არსებულ პრობლემებს, სატარიფო პოლიტიკას და ამის შედეგად გამოიტანს დასკვნას, რომლის მოთხოვნების შესრულება სავალდებულო უნდა გახდეს, როგორც კომპანიის, ისე მომხმარებლებისთვის. სხვა შემთხვევაში ქვეყნის ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის არსებული დაძაბულობა კიდევ უფრო გაღრმავდება, რასაც არაპროგნოზირებადი მოვლენები მოყვება.

**თინათინ ჩხიკვაძე, ვალერი ლისოჩინო, ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „რონ“ და სიმონო**

# მაღე საჯაროებოში სასმელი წყალი აუთიამაჟო ბაიუიღაჟა!



პროორიტიტი. დავინყოთ სტატისტიკით: 2005-2006 წლების მონაცემებით, დედაქალაქის ერთ სულ მოსახლეზე სასმელი წყლის მოხმარებასა და საკანალიზაციო მომსახურებზე დაწესებული ყოველთვიური გადასახადი 1,2 ლარი იყო, ხოლო საბიუჯეტო და სანარმო-კომერციული ორგანიზაციებისთვის 1 კუბურ/მეტრზე — 2,4 ლარი.

დასახელებულ პერიოდში სატარიფო გადასახადებთან დაკავშირებით, შპს „თბილისის წყალმა“, როგორც თავად იუწყება, შეძლო მოეგვარებინა ურთიერთობა საბიუჯეტო და სანარმო-კომერციულ სექტორთან, რაც იმაში გამოიხატა, რომ ამ სფეროს მომხმარებელთა კონტინგენტთან არსებული სატარიფო გადასახადების აკრეფის მაჩვენებელი 90-100 პროცენტამდე გაზარდა. რაც შეეხება მოსახლეობას, აქ ანალოგიურმა მაჩვენებელმა მხოლოდ 49 პროცენტს მიაღწია.

აქედ უნდა ვთქვათ „თბილისის წყლის“ ქსელის ამორტიზაციის თაობაზე, რაც უპირველეს ყოვე-

საერთაშორისო სერტიფიკაცია. ამით მან მოიპოვა საერთაშორისო აღიარება როგორც საუკეთესო მენეჯმენტის მქონე სანარმო-კომერციულმა სტრუქტურამ.

ასეთი მიღწევების ფონზე სრულიად გაუგებარია ქვეყნისა და დედაქალაქის ხელისუფლებმა რატომ ჩათვალეს საჭიროდ მიეყიდათ ეს სანარმო უცხოელი კომერციული სტრუქტურისთვის, რაც როგორც ქვეყნის, ისე მისი მოსახლეობისთვის დიდად საზიანო და დამლუპველია.

ჩვენმა სააგენტომ ამ გარიგების შესახებ განცხადებით მიმართა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების სტრუქტურებს და მოითხოვა მისი უარყოფა, რითაც შეუერთდა ქვეყნის სხვა ჯანსაღ ძალებს. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამჟამად შპს „თბილისის წყლის“ პრეზიდენტის საკითხი აღარ დგას და არც უნდა იდგეს, რადგან ეს ხელისუფლების მხრიდან, კიდევ ვიმეორებთ, სამშობლოს ღალატის ტოლფასი იქნებოდა.

ზემოთ აღნიშნულ მიღწევებს „თბილისის წყალი“ უნდა უმაღლოდეს დედაქალაქის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ არსებული ტარიფის მიხედვით გადახდის და ბიუჯეტში ჩარიცხულ თანხებს. სწორედ ამის მუშაობით „თბილისის წყალმა“ შეძლო, გარკვეულწილად გადაიარაღებინა სანარმო ტექნიკური ბაზა, ცენტრალური ოფისისთვის გაეკეთებინა ევროპული მონტი, შეესყიდა ძვირადღირებული მსუბუქი ავტომანქანები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მუშებისთვის გაეზარდა ხელფასი. აღარაფერს ვამბობთ

რი. აი, როგორ დაფასდა თბილისელების ღვაწლი შპს „თბილისის წყლის“ აღმავლობაში.

აქ ძალზე მნიშვნელოვანია შპს „თბილისის წყლის“ ცალკეულ ხელმძღვანელთა განმარტება. მათი აზრით, თუ მოსახლეობა ყოველთვიურად სრულად გადაიხდის მოხმარებული წყლის და საკანალიზაციო მომსახურების ღირებულების — 1,2 ლარს, რისი იმედიც აქვთ, მაშინ სანარმო, ერთი მხრივ, შეძლებს გაცივდეს მოგებაზე და, მეორე მხრივ, დინამიკურად განაგრძოს არსებული ქსელის სარაბილიტაციო სამუშაოები.

ბუნებრივია, თუ თბილისის საკრებულოს დეპუტატებს, ქალაქის მერიისა და შპს „თბილისის წყლის“ ხელმძღვანელობას სურთ მიიღწიონ მომხმარებლებსგან ტარიფით განსაზღვრული თანხების 100-პროცენტითან გადახდას, მათ უნდა იმოქმედონ მხოლოდ და მხოლოდ არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

აქედან გამომდინარე, გამოგვაქვს დასკვნა:

— შპს „თბილისის წყლისთვის“ დოტაციის შეწყვეტა და წყლის ტარიფის გაორმაგება პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზე, რომ დედაქალაქის ხელისუფლება აპირებს დოტაციის შესაბამისი თანხების სხვა მიზნებით გამოყენებას. ხოლო თუ რისთვის, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია.

მიღებული გადაწყვეტილებით დედაქალაქის ხელისუფლებამ ფიქრობს, „თბილისის წყლის“ განვითარებისთვის კვლავ გამოიყენოს მოსახლეობა, რომელსაც დააკისრა გაორმაგებული ტარიფის გადახდა. ხმ მიზნით კომპანიას მისცა უფლება გამოიყენოს კომუნალური მრიცხველები, რომლითაც აიძულებს მოსახლეობას ყოველთვიურად დროულად დაფაროს გაორმაგებული ტარიფის საფასური.

## ინფორმაცია

### გზაზე

#### უსაფრთხოებისთვის

შინაბან საქმეთა სამინისტრო გზებზე უსაფრთხოების მიზნით წელს ახალი ინიციატივის განხორციელებას გეგმავს. შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებით 2007 წლის ზაფხულში თბილისის გზებზე 600, ბათუმის გზებზე კი 150 კამერა დამონტაჟდება. მერაბიშვილის თქმით, კამერები დააფიქსირებენ დამრღვევ მძღვლებს, რომლებიც შემდეგ საჯარო ქვითარს სახლი მიიღებენ. შს მინისტრის განცხადებით, ბოლო წლებში ავტოსაგზაო შემთხვევებმა იმატა. „იშვითად ჩაივლის დღე ისე, რომ საქართველოს გზებზე მომხდარი ავარიების შესახებ არ შევიტყობთ. სამწუხაროდ, ავარიები ხშირად მსხვერპლით სრულდება. მხოლოდ 2006 წელს ავტოკატასტროფების შედეგად 675 ადამიანი დაიღუპა და 7000-ზე მეტი დაშავდა.“

კიდევ უფრო გამკაცრდა ნასვამი მძღვლების წინააღმდეგ ბრძოლა. ყველა საპატრულო ეკიპაჟს დაურიგდა ე.წ. „ალკოტესტი“, რომელიც საშუალებას იძლევა, ადგილზევე დადგინდეს სისხლში ალკოჰოლის შემცველობა. აცხადებს მერაბიშვილი. მისი თქმით, შს სამინისტროსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნარკომანი მძღვლების წინააღმდეგ ბრძოლა.

### გვიჩიანის ქაოსი

#### პროპოზციას

#### უსყობენ

„ეი-ი-ის თეატრის“ ფინანსური მენეჯერის ნიკა ლომინაძის განზრახ მკველელობის ორგანიზებაში მსჯავრდებული გიორგი გვიჩიანის ადვოკატები მისი ძმის წინააღმდეგ მოსალოდნელი პროუკაციის დაგეგმვაზე საუბრობენ. როგორც ადვოკატებმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, იგეგმება გიორგი გვიჩიანის საქმეში ერთ-ერთი მოწმის ნოდარ გვიჩიანის ლიკვიდაცია, რომელიც შემდეგ გიორგი გვიჩიანის ძმას ლევან გვიჩიანს დაბრალდება.

ადვოკატები გელა ნიკოლაიშვილი, ირმა ჭკადუა და მალხაზ ჯანგირაშვილი გეგმავენ გენერალურ პროკურატურას განცხადებით მიმართონ და ნოდარ გვიჩიანის მიმართ სპეციალური დაცვის ღონისძიებების გატარება მოითხოვონ.

„გვაქვს ინფორმაცია, რომ ნოდარ გვიჩიანს დაცვა მოუხსნეს. ჩვენ მის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიებების განხორციელებას მოვითხოვთ.“ განაცხადა მალხაზ ჯანგირაშვილმა.

ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილის თქმით კი, ნოდარ გვიჩიანის დაცვის მხარისთვის ძვირფასი ბრალდებისთვის კი სახიფათო მოწმის წარმოადგენს.

ნიკოლაიშვილმა განმარტა, რომ პროუკაციის შესახებ ინფორმაცია თითქმის ერთდროულად რამდენიმე პირმა სხვადასხვა წყაროსგან მიიღო.

ადვოკატებს არც დოკუმენტურად შეუძლიათ იმის დასაბუთება, რომ მსგავსი შინაარსის სატელეფონო შეტყობინების ფაქტს ადგილი ჰქონდა.

პრესკონფერენციაზე გიორგი გვიჩიანის ძმა ლევან გვიჩიანიც იმყოფებოდა, რომელმაც განაცხადა, რომ ნოდარ გვიჩიანის ლიკვიდაცია არ აპირებს.

როგორც ცნობილია, გიორგი გვიჩიანი ნიკა ლომინაძის მკველელობის ორგანიზების ბრალდებით სწორედ ნოდარ გვიჩიანის ჩვენების საფუძველზე დააკავეს.

**ინტერპრესნიუსი**

№ 90. შაბათი, 12 აპრილი, 2007 წელი.

● დარბაზში ჯგუფებად გაფანტული ადამიანების კერძო საუბრები რაღაც სხვაგვარი გულწრფელობით და ბადრი ჭოხონელიძის უსაზღვრო მონატრებით იყო განმსჭვალული...




ბადრი ჭოხონელიძე

მას შეეძლო გახარება სხვისი ნიჭიერებით... ზოგი ხომ ავტორს არაფერს ეტყვის, არც აზრს გაუზიარებს. ის კი მოვიდოდა, გეტყოდა, გაგიჩვენებდა... სამს უხაროდ, ასეთი ადამიანები არც მაშინ იყვნენ ბევრი და არც დღეს არიან. მრავალ მიზეზთა გამო, მის მეგობრებს ძალიან დაგვაკლდა ბადრი ჭოხონელიძე... ის იყო ჩვენი წებო, გვანებებდა ერთმანეთთან... ჩვენს სულებს ანებებდა თითქოს... ამ ჩვენს, ერთმანეთისგან მოგლეჯილ, დამსხვრეულ სულებს იჯდა და ანებებდა... და ეს, როგორც მისია თუ სხედრი მან თავად აირჩია...

ადამიანი იყო, ჯერ კიდევ სიყმანვილიდან მასში საოცრად იყო შერწყმული ინტელიგენტობა და არისტოკრატიზმი, სისადავე და საკუთარი ღირსების გრძობა, ნიჭიერება და სხვისი ნიჭიერების დანახვის უნარი, ასაკისათვის არადაამახასიათებელი სიღარბისლე და ჰოყვა-სისადამი გულისხმიერება სულერთია, იგი ახლობელი იყო მისი თუ პირველი შემხვედრი. სწორედ ასე შემოვიდა ბადრი ჩემს ცხოვრებაში ახლა უკვე შორეული, 60-იანი წლებიდან. აქ, ამ სასახლეში, მოსწავლეთა რესპუბლიკური კონფერენცია ტარდებოდა, მე პირველად ვღებულობდი მონაწილეობას და ჩემი ნაშრომის ნაკითხვის შემდეგ მორიდებითა და შინაგანი მღელვარებით კედელთან შეეჩერდი. ამ დროს ჩემზე ასე ერთი, ორი წლით უფროსი, ლამაზი გარეგნობის ყმანვილი მომიახლოვდა, რომელიც ჩანდა უკვე კარგად იყო გაშინაურებული ამ გარემოში და ნაშრომი შემეძლო. ვისაც მსგავსი რამ გამოუცდია, გამიგებს, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს პირველად, უცხო გარემოში მყოფი სათვის გამხნეებას და თბილ სიტყვას. ასე კეთილად დაიწყო ჩვენი ურთიერთობა, რომელიც ასევე გაგრძელდა ბოლომდე. საოცარი სიცხადით მაგონდება აგრეთვე ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. რუსთაველზე მოულოდნელი შეხვედრისას, გაოგნებულს აღმომხდა: „ბადრი როგორ გამხდარხარ-თქო... მაგრამ ეს მარტო სიგამხდრე როდი იყო, სიცოცხლის სხივი მინაწლებულიყო უკვე მის თვალში. ბადრიმ ნაღვლიანი ღიმილით შემომხედა და არაფერი მიპასუხა. მალე გავიგე, რომ იგი ამქვეყნად უკვე აღარ იყო. გულს ტკივილით მივსებს ის, რომ ასე ხანმოკლე იყო ბადრის სიცოცხლე, მაგრამ მეც და უთუოდ მრავალთაც ნუგეშად გვჩვენა მისგან გავლებული კვალი ნათელი და რომ მისი ხსოვნა არასოდეს გაფრმვრთალდება...

# „ქაღალდის ხეობები და ბატონები“ საოცრებოთა ჩანართში



ბადრი ჭოხონელიძის წიგნის პრეზენტაცია, საიუბილეო თარიღის აღნიშვნასთან ერთად, მოსწავლეთა სასახლის სარკეებიდან დარბაზში, წინასწარ დადგმულ სცენარს არ ითვალისწინებდა. არც იყო საჭირო, რადგან ბადრის მხოლოდ სახელის ხსენებაც კი რამდენიმე თაობას ბუნებრივად, ძალდაუკანებლად აერთიანებს და რაღაც ნამდვილზე, ღირსეულსა და მარადიულზე საუბრებისთვის განაწყობს. როგორც წიგნის ერთ-ერთმა რედაქტორმა კობე ნაპაშვილმა გვითხრა, ბადრის მოთხრობების რიგით მეხუთე კრებულში რამდენიმე გამოუქვეყნებელი, ძალიან ღირებული ნაწარმოებიცაა შეგანილი, რაც ამ ბოლო გამოცემას განსაკუთრებულად მნიშვნელოვანს ხდის (წიგნის შემდგენელი – მანანა მღვიმეშვილი, რედაქტორები – ირაკლი სამსონაძე, კობე ნაპაშვილი, მხატვარი – ჯემალ მენაიშვილი). სადაბო, რომელიც გამორჩეული ერთგულებით მიჰყავდა მანანა ღუმბაძეს, იმპროვიზაციული გახლდათ და დარბაზში ჯგუფებად გაფანტული ადამიანების კერძო საუბრები რაღაც სხვაგვარი გულწრფელობით და ბადრი ჭოხონელიძის უსაზღვრო მონატრებით იყო განმსჭვალული...



ბადრი ჭოხონელიძე

## ქალბატონები და ბატონები

ნუზარ შატაია (მწერალი) ბადრი ჩემი მეგობარი იყო... თუმცა, მას ბევრი მეგობარი ჰყავდა, უამრავ ხალხს იცნობდა... უამრავ ხალხს უყვარდა, იმიტომ რომ ძალიან განონასწორებული ადამიანი იყო და გარშემო თითქოს, ყველაფერს აწონასწორებდა... მე არ მიყვარს ეს სიტყვა, მაგრამ ის ნამდვილი ინტელიგენტი იყო – ყველაზე საუკეთესო გაგებით და ტიპიური თბილისელი ბიჭი.

ის ხშირად მეგობრებს შორის ურთიერთობებს აწესრიგებდა. არა საქმის გარეშე, არამედ მას ჰქონდა რაღაც სიბილი და ამით ახერხებდა, ბევრს, სხვებისთვის შეუძლებელს. ხან შეპარულად, ირონიული ღიმილით, ან შექცებით, ან მოარულად, ერთი სიტყვით, გეტყოდა რაღაცას ერთსაც და მეორესაც და ყველაფერი თავის ადგილას დგებოდა, ყველაწიანი კონფლიქტები. სრულიად ბუნებრივად, შერიგებით

მთავრდებოდა. ბადრი იყო მართლაც, დახვეწილი პიროვნება, სულიერადაც და გარეგნულადაც... შეხედავდი და მიხვდებოდი, რომ მისი სული ანათებდა... თითქოს ზარების ხმა გარეთ გამოდიოდა, ვერ ჩერდებოდა სხეულში...

მერაბ მებრეველი (მოქანდაკე, პოეტი) ბადრი ჭოხონელიძე სულიერად და ფიზიკურად ლამაზი

# კიდევ ერთხელ დიზსეზისათვის...



სათაურით, „ღირსების საქმე“, 1918 წელს, პეტერბურგში, დაუსტამბავთ სახელმძღვანელო ოფიცრებისთვის, რაც ფაქტიურად, დუელანტიებისთვისაა განკუთვნილი. ვკითხულობთ: „პიროვნული და ოჯახის ღირსება, აგრეთვე პატივი და ღირსება ოფიცრის სახელისა, საკუთარ სიცოცხლეზე მეტად პატივსაცემი და ფასეული უნდა იყოს“... უფრო ქვემოთ: „როცა აუცილებლობა მოითხოვს, იარაღით უნდა დავიც-

ვით ჩვენი ღირსება. იგულისხმება დუელი – დათქმული ბრძოლა იარაღით ორ პიროვნებას შორის, მონშეთა თანდასრებით, ცნობილი წესებისა და მეთოდების დაცვით“... არსებობდა აგრეთვე დუელი, მონშეთა დაუსწრებლად („რეკონტრ“), რაც ამ სახელმძღვანელოში არ გახლავთ მითითებული. ცხადია, ღირსების გამოხატვის და სხვისი ღირსების აღიარების საშუალებები სხვადას-

ხვაგვარია, ინდივიდის არაერთმნიშვნელოვანი ბუნების გათვალისწინებით. პიროვნებას სურს საკუთარი გამოცდილებით გააკეთოს დასკვნები და არჩევანი, ანუ საკუთარი ღონით თუ ღონით დააღწიოს თავი იმ განსაცდელს, რასაც ღირსების დაკარგვა ჰქვია. რა არის იგი – ღირსება? – ადამიანის სამკაულია თუ მძიმე ტვირთი? ალბერ კამიუ უბედნიერეს არსებად მიიჩნედა სიზიფეს,

რომელსაც მიგნებული ჰქონდა თავისი ტვირთი („უკაცო თავის ტვირთს მუდამ მიაგნებს“). სიზიფეს საკუთარი ღირსების საქმედ მიაჩნდა იმ ტვირთის მალა ატანა, თუნდაც, დაუსრულებლივ, უშედეგოდ... (ტვირთი, საშინელი სისწრაფით, ისევ დაბლა ეშვებოდა)... მაგრამ, როგორც ჩანს, მთავარი „მწვერვალისავე მამართული მზერა“, ანუ ღირსების საქმე...



ჯერ კიდევ, მე-19 საუკუნეში, ყველა დროის და ყველა ეპოქის კანონმდებელთა ნიგნების არგუმენტებით, დუელები აიკრძალა, მაგრამ ლეიბ-გვარდიის ახალგაზრდა პოლკოვნიკი, სამეგრელოს მთავართა მშვენიერი შთამომავლის პაშა დადიანის ვაჟი - გრიცკო ვიტგენშტეინი საკუთარი და სხვისი ღირსების დაცვას მაინც იარაღით გადაწყვეტს



ყველა ეპოქაში თვლიან, რომ სწორედ მათ დროშია განსაკუთრებულად დაუცველი ადამიანის ღირსება, დუელანტების ხანა კი წავიდა.

ჯერ კიდევ, მე-19 საუკუნეში, ყველა დროის და ყველა ეპოქის კანონმდებელთა ნიგნების არგუმენტებით, დუელები აიკრძალა, მაგრამ ლეიბ-გვარდიის ახალგაზრდა პოლკოვნიკი, სამეგრელოს მთავართა მშვენიერი შთამომავლის პაშა დადიანის ვაჟი - გრიცკო ვიტგენშტეინი საკუთარი და სხვისი ღირსების დაცვას მაინც იარაღით გადაწყვეტს.

გერმანული წარმომავლობის გვარი - ვიტგენშტეინი ბრონჰაუსისა და ფერონის ლექსიკონში რუსეთის მაღალი არისტოკრატიის ეგიდითაა მოხსენიებული. გვარი, რომელიც დიდი ხანია უკვე გადაშენდა...

ვიტგენშტეინის, გვარს ჩვენ 1886 წელს, პეტერბურგში გამოცემულ ნიგნშიც მივაგენით: „РОДОВЫЯ прозвания и титулы в России“.

რუსი ავტორის, ე. კორნიჩუკის განმარტებით, ძველი რუსული სამეფო კარის ყველა წარმომადგენელი არარუსული წარმოშობისაა. ავტორი ვიტგენშტეინის წინაპარს გერმანული გვარის ორ ცნობილ პიროვნებას შორის მოიხსენიებს, როგორებიცაა ფელდმარშალი ბარკლაი - დე ტოლი და პერცოგი კილინგტონი...

გადმოცემის თანახმად, გრიცკო ვიტგენშტეინს განსაკუთრებული სინაზით უყვარდა დედის სამშობლო - საქართველო. გრიცკოს პიროვნული სტილი, გემოვნება და ხასიათის თვისებები ამ ქვეყნის ცხოვრების წესს და ურთიერთობათა კულტურასაც გამოხატავდა.

## ლიბრაბურული პერსია

... „განერაღი მაშინვე მიხვდა, რა დამლის ღვთის შვილიც იდგამის წინ. აშკარა მისალმებით

არა, მაგრამ ღირსების აღიარების ნიშნად, მაინც დახარა თავი. ვიტგენშტეინმაც ასევე უპასუხა“...

ეს ის თავადი ვიტგენშტეინია, რომელსაც მწერალი რეზო ინანიშვილი თავისი საუკეთესო მოთხრობის გმირად აქცევს. მხატვრული ნაწარმოების მიხედვით, თავადიშვილი თავისი ძვირფასი დედის და ნათესავების მონახულების შემდგომ, თბილისიდან პეტერბურგში მიემგზავრება.

„წელში ლარივით აჭიმული, თავისი სხეულის საამოდ მფლობელი... მაღალი კისერი, კავკასიური პატარა, მკვრივი კეფა, ოდნავ კენიანი, თხელი, თხელი ცხვირი და თხელივე ტუჩები... სამხრეთულად მზემოკიდებულს - მაინც შერჩენოდა ჩრდილოური მოყვითალო სიფითრე“... - ასეთია იგი, მწერლის თვალით დანახული.

მოთხრობის სიუჟეტი მატარებელში ვითარდება: დონის როსტოვის სადგურიდან ამოსული ხმაურიანი გენერალი, ვინმე ნაუმოვი, ვაგონის დერეფანში, ხმამაღლა მოკისკისე ქალბატონს ყურში რაღაცას ეჩერჩულებოდა... და მეტისმეტად ფრივოლურად... შესაძლოა ყაზარ-

## ბრისკო ვიტგენშტეინი



# კიდევ ერთხელ დიბსეებისათვის...

მულ ანეკდოტებს უყვება. ქალი ერთ წამს სულმოუთქმელი სიცილისგან წინ გადაიხრება და

გენერალი ე.წ. უადგილო ადგილას ჩამოჰკრავს ხელს. ისკი მოულოდნელობისგან შეკრთება, სიცილს შეწყვეტს და შემოთეხულ მზერას მატარებლის ფანჯარასთან მდგომ ვიტგენშტეინისკენ გააპარებს.

„ვიტგენშტეინი სფინქსით მშვიდად იდგა. მხოლოდ ოდნავი სიფითრე მომატებოდა ბაგეებთან... ქალი სახერხული შევარდა კუპეში“...

ახალგაზრდა პოლკოვნიკმა მისი თანდასწრებით ქალის შეურაცხყოფა საკუთარი ღირსების შელახვად ჩათვალა: „მე, მამაკაცი, ვიდექი თქვენს გვერდით“... - მიმართავს გენერალს.

„- პირველსავე სადგურში ჩავალთ და ვესვრით ერთმანეთს!...“

გენერალმა ლოყაზე ხელი ჩამოისვა და დერეფანს გახედა. დერეფანში არავინ იყო. ენის ბორძიკით თქვა: - ის ქალი... იმ ქალის გულისთვის არ ღირს...

- მე ეს არ ვიცი.
- თანაც ნაუმოვი ვარ, ტყვიას ტყვიაში ვსვამ.
- მით უკეთესი თქვენთვის.
- მე თქვენ უთუოდ მოგაკლავთ.

ვიტგენშტეინმა აღარაფერი უპასუხა. თავისი კუპისკენ გასწავა.

„რეკონტრ?“ - იკითხა გენერალმა.

„რეკონტრ“...

მოთხრობის შემდგომ ნაწილში, პირველივე სადგურში ჩადაინ და ახალგაზრდა პოლკოვნიკი დუელში კვდება. კონტექსტი აქ არაერთმნიშვნელოვანია...

## დოკუმენტური პერსია

შადრმსად საინტერესო დოკუმენტური ცნობები ახალგაზრდა სამხედრო პირის - ვიტგენშტეინის წარმომავლობის და სიცოცხლის აღსასრულის შესახებ „დადიანთა შთამომავლების საერთაშორისო კავშირის“ პრეზიდენტმა, ბატონმა გრიგოლ დადიანმა მოგვანოდა, რომელიც პაშა (პელაგია) დადიანის ძმის, პლატონ დადიანის შვილთაშვილი გახლავთ. ამბავი საკუთარი საოჯახო წრის ისტორიიდან სწორედ დოკუმენტალურობის გამოა ძალიან მნიშვნელოვანი.

## ბაბონ ბრიკოლ დადიანის კოვანარი

პაშა (პელაგია) დადიანი არის მანუჩარ დადიანის შვილთაშვილი, ალექსანდრე დადიანის შვილი, უბრწყინვალესი თავადის პეტრე ვიტგენშტეინის მეუღლე. პაშა დადიანი იყო მისი უდიდებულესობის, სრულიად რუსეთის იმპერატორის ფრეილინა. ჰყავდა შვილები ალექსანდრე (საშა) ვიტგენშტეინი და გრიცკო ვიტგენშტეინი, რომელიც დუელში დაიღუპა.

გრიცკო ვიტგენშტეინი იზრდებოდა იმპერატორის კარზე, უფლისწულ ნიკოლოზ რომანოვთან ერთად. ის დუელში მოკლა ოფიცერმა ბელოვმა.

გრიცკო თავის ამალასთან ერთად შევიდა პეტერბურგის ერთ-ერთ რესტორანში, სადაც იკრიბებოდნენ პეტერბურგის ნაღები საზოგადოების სამხედრო პირები.

მცირე დროის გასვლის შემდეგ, გრიცკომ შეამჩნია, რომ

ოფიცერმა ბელოვმა შეურაცხყოფა მიაყენა იქ მჯდომ (საეჭვო პროფესიის) ქალბატონს. გამოუსარჩლა ქალს და ბელოვს ბოდის მოხდა მოსთხოვა.

ოფიცერი ბელოვი შეწუხდა, როდესაც შეიტყო, რომ გრიცკო იმპერატორთან დაახლოებული პირი და ცნობილი პიროვნება იყო. სცადა სიტუაცია განემუხტა. აღნიშნა: „Она не достойна покрова милости“... ვინაიდან ოფიცერმა ბოდის არ მოიხდა, გრიცკომ დუელში გაიწვია. ბელოვი იყო კარგი მსროლელი და დუელანტი. ამის შესახებ გააფრთხილა კიდევ თავისი მეტოქე, რომელმაც უკან მაინც არ დაიხია და დაიღუპა კიდევ. აღელვებულმა ბელოვმა თქვა: Ваше сиятельство, вы и себя погубили и меня!.. მაშინ, პრეზიდენტმა მდგომარეობაში, გრიცკომ მოითხოვა კალამი და ქალაქი და იმპერატორის კარზე გასაგზავნი წერილი დაწერა: „Николаша, гастодинь елов в моей смерти не виновен, целую, преданный до смерти - Грицко Витгенштейн“.

\*\*\*

ბრიცკო ვიტგენშტეინის და მისი ოჯახის წევრთა ფოტოები ქალბატონ ბაბონ დადიანის არქივშია დაცული, რაც ამ დოკუმენტებთან და მოგონებებთან ერთად, ეპოქის ბიოგრაფიების ყველაზე მთავარ და ღირსსაბსოვარ ნიშნებს გამოხატავს.

... და მაინც, მომავლისთვის, ისტორიისთვის რას ენიჭება მნიშვნელობა - დოკუმენტალურობას თუ მხატვრულ გამოხატვას? კითხვა სხვაგვარადაც შეიძლება დაისვას: რომელია უპირატესი - დოკუმენტური სიმართლე თუ შემოქმედებითი სიმართლე?

თემა „ხელოვნების მშვენიერის და ბუნების მშვენიერის“ შესახებ ასევე გერმანული ცნობიერების წიაღში იშვა (პეგელი) და დაახლოებით ასეთი პასუხია გაცემული: რეალობის და მითის გაგება თითქმის გაუთიშავია, როგორც თანამობით შერიგებული მომენტების და ორივე მხარე ერთმანეთში ისეა შესული, რომ გარეგნული მხოლოდ და მხოლოდ შინაგანს გამოხატავს... ობიექტური, განუხვდ, დოკუმენტური, რეალობის უმაღლესი ფორმა აზრის ფორმად და ცნობიერების ამგვარი გრძობადი აღქმა - ჩვენი ცხოვრების იდეალებს გვისახავს, ოღონდ ძნელად მისაღწევს და თითქმის განუზოვრცელებელი...

## ნილო სოფარიას

ჩანართმა მუშაობდნენ ნილო სოფარია და პაბა ქორიკე



პაშა დადიანი

№ 90. შაბათი, 12 მაისი, 2007 წელი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იტყობინებოდა, რომ 10 მაისს ორმა სამხედრო თვითმფრინავმა დაარღვია ქვეყნის საჰაერო სივრცე რუსეთის ტერიტორიის მოსაზღვრე ყაზბეგის რაიონის მიდამოებში. როგორც ქართული მხარე ამტკიცებს, რუსეთის მხრიდან შემოსულმა სამხედრო თვითმფრინავებმა ოთხი კილომეტრით შეაღწიეს საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში

© რას წარენ, რას აზოგან ჩვენაჲ

## რუსეთმა და ყაზახეთმა პოლონელებს ზურბი შეაქცია

პრაკოვში იხსნება ორდღიანი ენერგეტიკული სამიტი, რომელშიც ამ ღონისძიების გამართვის ინიციატორის — პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის გარდა, მონაწილეობას მიიღებენ უკრაინის, აზერბაიჯანის, საქართველოს და ლიტვის პრეზიდენტები.

სამიტის დაწყების წინ ამ ღონისძიების მონაწილეთა შემადგენლობაში კარდინალური ცვლილებები მოხდა. კრაკოვში არ ჩავა ნურსულთან ნაზარბაევი — ყაზახეთის, იმ ქვეყნის პრეზიდენტი, რომლის ნავთობის რესურსებიც მიაჩნდათ ძირითადად ოდესა-ბროდი-პლოცკ-გლდანსკის ნავთობსადენის რეანიმაციისათვის გამიზნული პოლონეთ-უკრაინის ერთობლივი პროექტის განსახორციელებლად. ყაზახეთის პრეზიდენტმა ამჯობინა, რომ ამ დღეებში აშხაბადში შეხვედროდა თურქმენეთის ახალ ლიდერს გურბანგული ბერდიმუჰამედოვს და რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს. ამ სამეულის სამიტის თემა ასევე ენერგოშემცველებს ეხება.

პოლონეთში კონკურენტების აშხაბადის შეხვედრა შეაფასეს, როგორც რუსეთის მიერ კრაკოვის სამიტის ჩაშლის მცდელობა. მაგრამ პრეზიდენტმა კაჩინსკიმ შექმნილი სიტუაცია ასე განმარტა:

„მიმაჩნია, რომ ეს არის არა პოლონეთისთვის მიყენებული დარტყმა, არამედ პირიქით — იმის დადასტურება, რომ ჩვენ ნამდვილად ვართ ქვეყანა, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება“.

პოლონეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში „ვრემია ნოვოსტის“ კორესპონდენტს დაუდასტურეს, რომ სამიტში მონაწილეობას მიიღებს ბოლო მომენტში მიწვეული ლიტვის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი, მეთვალყურის სახით კი წარმოდგენილი იქნება ყაზახეთის მინისტრის რანგში.

კასპის ზღვის საბადოებიდან ნავთობის მიწოდებით დაინტერესებულ სახელმწიფოთა სამიტის პოლონეთში გამართვის გეგმის შესახებ საჯაროდ გამოაცხადეს ორი თვის წინათ, როცა პლოცკის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას ეწვია უკრაინის პრეზიდენტი ვიტორ იუშჩენკო. მაშინ საქმე კიდევ ერთხელ შეეხო ოდესა-ბროდის უკრაინული ნავთობსადენის გაყვანას პლოცკიდან პოლონეთის სანავსადგურო ქალაქ გლდანსკამდე,

საიდანაც იხსნება გზა დასავლეთი ევროპისკენ. ამჟამად ნავთობსადენი ახორციელებს მხოლოდ რუსული ნავთობის საექსპორტო მიწოდებას ევროპაში.

პოლონეთის და უკრაინის მონაკვეთების გაერთიანების შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების თაობაზე კიევისა და ვარშავას შორის შეიძინა წლის განმავლობაში მიმდინარე კამათის მთავარი თემა იყო ის, თუ საიდან უნდა მოეპოვებინათ ნავთობსადენით გადასაზიდი ნედლეული. რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით გაყვანილი მილის შევსება პოლონელებს არ სურთ რუსული ნავთობით. მხარეებმა გამონახეს გამოსავალი: ნავთობი უნდა მიიღონ ყაზახეთიდან



და აზერბაიჯანიდან, საქართველო კი პროექტში მიიწვიეს როგორც სატრანზიტო პარტნიორი.

უკრაინის პრეზიდენტმა უპირობოდ დაუჭირა მხარი კრაკოვის სამიტის გამართვის იდეას. ხოლო იმისთვის, რომ სხვებზე დაერწმუნებინა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება რუსეთისგან პოლონეთის „ენერგეტიკული უშიშროების“ უზრუნველყოფას, კაჩინსკი გასულ თვეს პირადად ეწვია ყაზახეთს და ამიერკავკასიას.

უთანხმოება უკვე ასტანაში დაიწყო, როცა ნურსულთან ნაზარბაევი, რომელსაც არ უთქვამს უარი სამიტში მონაწილეობაზე, გამოთქვა წინადადება, რომ პოლონეთ-უკრაინის პროექტის განხორციელებაში რუსეთიც ჩაებათ. ეს ვარშავაში მთელი ამ წამოწყების ჩაშლად აღიქვეს. საქმე ის არის, რომ ყაზახები თუ უარს განაცხადებენ, ბაქო და თბი-



ლისი უკვე ვეღარ დაეხმარებიან ვარშავას, თუმცა მათ შესთავაზეს პოლონეთს ხელშეწყობა ნედლეულის ალტერნატიულ მიწოდებაში.

როგორც ექსპერტებს მიაჩნიათ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აზერბაიჯანში მოპოვებული ნავთობი მოხვდება პოლონეთ-უკრაინის მილში, იგი მაჩინც ვერ გადაარჩენს პროექტს და ვერ გახდის მას რენტაბელურს. იმავე ექსპერტების მტკიცებით, ყაზახეთი ძალზე ბევრს დაკარგავს, თუ ამ ნიადაგზე დაუპირისპირდება რუსეთს. ამიტომ, თითქმის არავინ ელის, რომ კრაკოვის ენერგეტიკული სამიტი რაიმე შედეგს მოიტანს.

როგორც პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პაველ კოვალმა აღნიშნა, სამიტზე მიღწეულ წარმატებად ისიც კი შეიძლება ჩაითვალოს, თუ „სტუმრები დარწმუნდებიან იმაში, რომ შესაძლებელი იქნება რაიმე მოიმოქმედონ რუსეთის გარეშე“. ამასთან, კოვალმა იქვე დასძინა: „ეს იმას როდნიშნავს, თითქოს ჩვენი მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ იყოს მიმართული“.

ვალერი მასტაროვი  
**ВРЕМЯ  
НОВОСТЕЙ**

№ 90. შაბათი, 12 მაისი, 2007 წელი.



## რუსეთი საჰაერო სივრცის დარღვევაში დაადანაშაულეს

რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა უარყვეს ქართული მხარის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს ხუთშაბათს რუსეთის თვითმფრინავებმა დაარღვიეს ამ ქვეყნის საჰაერო სივრცე.

„რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებს საქართველოს საზღვარი არ დაურღვევიათ“, — განაცხადა პარასკევს სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდლის თანაშემწემ საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებში პოლკოვნიკმა ალექსანდრე დრობიშევსკიმ.

„საჭიროების შემთხვევაში, მზად ვართ ქართულ მხარეს

წარვუდგინოთ ობიექტური კონტროლის მასალები“, — აღნიშნა მან.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იტყობინებოდა, რომ 10 მაისს ორმა სამხედრო თვითმფრინავმა დაარღვია ქვეყნის საჰაერო სივრცე რუსეთის ტერიტორიის მოსაზღვრე ყაზბეგის რაიონის მიდამოებში. როგორც ქართული მხარე ამტკიცებს, რუსეთის მხრიდან შემოსულმა სამხედრო თვითმფრინავებმა ოთხი კილომეტრით შეაღწიეს საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში.

## პრაქტიკულად ორი ძველის ურთიერთობა „სანიშნოდ“ მიაჩნიათ

საპარტიველოს და პოლონეთის პრეზიდენტებს მიხეილ სააკაშვილს და ლეხ კაჩინსკის მიაჩნიათ, რომ პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობა „სანიშნოდ“ ორივე ლიდერმა ასეთი განცხადება გააკეთა ხუთშაბათს ვარშავაში გამართული პრესკონფერენციის დროს.

საქართველოს პრეზიდენტი სამუშაო ვიზიტად ეწვია პოლონეთის დედაქალაქს.

ლევ კაჩინსკიმ განაცხადა, რომ მიღწეულია მორიგება საქართველო-პოლონეთის სპეციალური საპრეზიდენტო კომიტეტის

შექმნის შესახებ. ასეთი კომიტეტები უკვე არსებობს პოლონეთსა და უკრაინას, ლიტვასა და თურქეთს შორის და მოწმობს იმას, რომ კიდევ უფრო მტკიცდება სახელმწიფოთაშორისი კონტაქტები, განმარტა პოლონეთის პრეზიდენტი.

როგორც კაჩინსკიმ აღნიშნა, კრაკოვში დაიწყება ორდღიანი არაფორმალური ენერგეტიკული სამიტი, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, უკრაინის, ლიტვის, აზერბაიჯანის და პოლონეთის პრეზიდენტები. პოლონე-

თის ლიდერის თქმით, სამიტს აქვს ყველა შანსი იმისთვის, რომ მისცეს დასაბამი „ახლო თანამშრომლობას თანამედროვე მსოფლიოსათვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორც არის ენერგეტიკის სფერო“.

თავის მხრივ, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ პოლონეთის ინიციატივა „თავისთავად მნიშვნელოვანია და მას ჩინებული მომავალი აქვს“.

სამიტის ერთ-ერთი მთავარი იდეაა შეიმუშაონ ენერგოშემცველების შეუფერხებელი ტრანზიტის ისეთი გარანტიები (როგორც ეროვნული ეკონომიკისთვის, ისე — აღმოსავლეთ-დასავლეთის ვექტორისთვის), რომლებიც ენერგეტიკული სამიტის მონაწილე ქვეყნების საერთო, პოლიტიკურად შეთანხმებული პოზიციის მეშვეობით დააბალანსებენ ენერგეტიკული ქარტიის დებულებებს და ენერგოშემცველთა მწარმოებლების, სატრანზიტო სახელმწიფოებისა და მომხმარებლების ინტერესებს.

ლეონიდ სპირიდოვი  
**ВРЕМЯ  
НОВОСТЕЙ**



АГЕНТСТВО  
МЕЖДУНАРОДНОЙ  
ИНФОРМАЦИИ  
**НОВОСТИ**

წერილი რედაქციას

რა, სამუდამოდ განგვირისხდა უფალი?

2004 წლის სამ ნოემბერს გაათავისუფლეს სამუშაოდან - გაზეთ „აჭარის“ რედაქციის კორესპონდენტის მოვალეობისაგან. ეს „ნმენდა“ ამ ბეჭდვითი ორგანოს ახალმა შეფმა დავით ჩხარტიშვილმა ისე გააფორმა, თითქოს ვერ შევასრულე „საკონკურსო“ კარუსელ-ბუფონადის მოთხოვნები მაშინ, როცა მსგავსი რამ ჩვენს დაწესებულებაში კატეგორიულად არ გამართულა.

ჩემს გარდა, მსგავსი „კასტინგით“ თითქმის ყოველი ვეტერანი თანამშრომელი დაისაჯა. მათ შორის რედაქტორის მოადგილე სერგო კაკაურიძე და ინფორმაციის დამუშავების განყოფილების გამგე ამირან კაცაძე, ასე ვთქვათ, ერუდიტების ტანდემი.

რალა თქმა სჭირდება, ღირსების შელახვის ფაქტს, პირველ რიგში, თვითნებობას, პროტესტით ვუპასუხეთ: შევიტანეთ

სარჩელი ბათუმის სახალხო სასამართლოში, გარკვეული მიზეზის გამო, პროცესი გაჭიანურდა. მელოდრამისა არ იყოს, სიკეთემ ქალაქზე მაინც დაჯაბნა ბოროტება, რაც შესაბამისი აქტივობაც დამონმა (2 ივნისი, 2005 წ.) მაგრამ მოძალადეებმა თავისი არ დაიშალეს, სათანადო ინსტანციებში მოითხოვეს განაჩენის გაუქმება. ვიდრე სააპელაციო სასამართლო ქუთაისში არ გადაიტანეს, მანამ არ დაადგა საშველი საკითხის განხილვას...

როგორც იქნა, ქუთაისიდან გვადირსეს გამოძახება (2006 წლის 1 მარტს), იქ ორჯერ ჩავიყვანეს (თითქოს საამისო ხარჯები გროშებს შეადგენდეს). ამასთან, თუ ჩემდამი მონყალება გაიღეს, კორესპონდენტადაც აღმადგინეს და ნაცდური ხელფასის ანაზღაურების აუცილებლობის თაობაზე შეასხენეს ყალბისმქნელებს, ცამდე მართალ რანგით უფროს კოლეგებს

უბოდიშოდ გაუცრუეს იმედები, მშრალზე დატოვეს, ვინაიდან და რადგანაც მათი თანამდებობები... გაუქმებული აღმოჩნდა (გასაგებია, მანიპულაციის მეშვეობით).

ბუნებრივია, ადვოკატებმა რუსუდან ბასკურიძემ და ნინო ჩხეტიამ თავადაც აახლეს არზა, სადაც ჯერ არს. თავის მხრივ, რაც დღეს ძნელად დასაჯერებელია, სამართალმა პური ჭამა. ყოველ შემთხვევაში, ბატონ სერგო კაკაურიძესა და ბატონ ამირან კაცაძეს გადაეცათ ისეთი ოფიციალური საბუთი, რომელსაც წყალი არ გაუვა. სამაგიეროდ მე, ანუ „ტრიოს“ მესამე წევრმა, ჯერ კიდევ 2006 წლის 1 მარტს ქუთაისში რომ მოახერხა „საფლეიოფო“ მართონის დაძლევა, მთელი თორმეტი თვის განმავლობაში ვერ მოვიპოვე საამისო დოკუმენტი, რათა კანონის აბუჩად ამგდებნი აქეშლებინათ იმ ვერდიქტის

აღსრულება, რაც მათ დაეკისრა. ვითარების გასარკვევად, იძულებული აღმოვჩნდი, თბილისისაკენ ამელო გეზი. არადა, მატარებლის ბილეთის აღება იმას ნიშნავს ჩემთვის, რასაც რწყილის გატყავება ჰქვია.

მოკლედ, ისედაც წყალნაღებულმა, უკანასკნელი ლუკმის ფულიც შემოვივლე თავზე და ბედის ირონია არ გინდათ?! - დედაქალაქში ჩაღწეულ პროფანს, სათანადო მისამართის ძებნაში გართულს, უკან დამანის ცნობა - სანუკვარი ფურცელი გვიღრსა, მანდ არაფერი გესაქმებო. რა თქმა უნდა, მონეტალურად გამოექუსლე უკან, მაგრამ იმას თუ კითხულობს ვინმე, ჩემი პენსიის პატრონი რომელ საუკუნეში გავასწორებ ჩამონამათხოვრებ ვალეებს.

შედეგი?! არავითარი! შტანდარტენიფურეით რედაქტორთინეიჯერი დავით ჩხარტიშვილი „ერთი ადგილისკენ“ მიგვა-

ნიშნებს (მე თქვენ გიტყვით, შინაგანი კულტურა დაუშლის), მაგ განაჩენის შემთხვევით თემიდის „გვი“ მსახურები, ამაზე დამაფრინდნენო.

როგორც ჩანს, მისტერ დავით ჩხარტიშვილი, მსგავს „მისტერიებს“ დღენიდაგ უწყობს თავისი თანამშრომლების ტრეფიკინგულ კონტინენტს. პიკანტურად საინტერესო ის არის, ამ ქუჩიდან მოვლენილ ახალგაზრდა კაცს ვინ მიანიჭა საამისო უფლებები?! ვისაც კი მივმართე, ამ შეკითხვას ბანზე მიგდებს. ვინ დაგვიცავს ამ უკაცრავი პასუხია და რედაქტორისგან, ვისი კარიერაც მებაჟეობით დაინყო? რამ დააყრუა თვალეპროექტორა ლევან ვარშალომიძე და არა მარტო იგი?

ჩემი მდგომარეობა ვერც ბუჩქებში შემძვრალ-განაბულ „ინტელექტებს“ გავაგონე, ვერც „გულითადობა-სანტიმენტალურობით“ გამორჩეულ ბომონდელებს, რა, სამუდამოდ განგვირისხდა უფალი?!

ვლადიმერ დარჩია

ქალაქ თბილისის საკრებულო

გადაწყვეტილება № 6-35

08.05.2007წ.

11.05.07

300.320.000.36.101.010.321

რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში ტარიფების შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 9 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა და მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 8 თებერვლის №104 ბრძანებულებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 50-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა დამტკიცდეს:

ზე დაბალი ქულის მქონე, ქ. თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთათვის ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ტარიფები შემცირდეს 50 პროცენტით. 3. ქ. თბილისში საავტობუსო მარშრუტებზე და მეტროპოლიტენით ერთჯერადი მგზავრობის ტარიფები თანახმად დანართისა. 4. ქ. თბილისში საავტობუსო მარშრუტებზე და მეტროპოლიტენით ერთჯერადი მგზავრობის მინიმალური ტარიფი - 0,20 ლარი, ხოლო მაქსიმალური - 0,40 ლარი. 5. „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“ რეგისტრირებული 70000-ზე დაბალი ქულის მქონე, ქ. თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთათვის ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მინიმალური ტარიფები შემცირდეს 50 პროცენტით.

- მუხლი 1. 1. სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება-გაწმენდის მომსახურების ტარიფი შემდეგი ოდენობით: ა) მოსახლეობისათვის, რომელიც აღჭურვილია მრიცხველით და წყალს მოიხმარს საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის 1 კუბ. მეტრზე - 0,1 ლარი; მათ შორის 1 კუბ. მეტრი წყლის მიწოდების ტარიფი - 0,08 ლარი, ხოლო 1 კუბ. მეტრი ჩამდინარე სითხის გატარება-გაწმენდის მომსახურების ტარიფი - 0,02 ლარი; ბ) მოსახლეობისათვის, მომსახურების უმრიცხველოდ მოხმარებისას, თვეში 2,40 ლარი ერთ სულ მოსახლისათვის თვეში წყლის ხარჯვის ნორმის 24 კუბ. მ. განსაზღვრიდან გამომდინარე; გ) მოსახლეობის გარდა, ყველა სხვა მომხმარებლისათვის 1 კუბ.მეტრზე - 4.40 ლარი; მათ შორის 1 კუბ. მეტრი წყლის მიწოდების ტარიფი - 3,50 ლარი, ხოლო 1 კუბ. მეტრი ჩამდინარე სითხის გატარება-გაწმენდის მომსახურების ტარიფი - 0,90 ლარი; 2. „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“ რეგისტრირებული 70000-

- მუხლი 2. 1. დაევალოს ქ. თბილისის მთავრობას შ.პ.ს. „თბილისის წყალი“-ს მეშვეობით: ა) უზრუნველყოს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეტაპობრივი გამრიცხველიანება. ბ) საცხოვრებელი სახლის საერთო მრიცხველზე დაფიქსირებული მოხმარებული წყლის რაოდენობის საფასურის დაანგარიშება და შესაბამის ინდივიდუალურ ქვითარში ასახვა მოხდეს ბინაში არსებული სულადობის მიხედვით. გ) საფასურის დაანგარიშების და შესაბამის ინდივიდუალურ ქვითარში ასახვის ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისგან განსხვავებული წესი (ბინების რაოდენობის, ფართის მიხედვით ან სხვა) შეიძლება განისაზღვროს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში შექმნილ ამხანაგობასთან შ.პ.ს. „თბილისის წყალი“ მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით. 2. 2007 წლის პირველ ივლისამდე თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებულმა საწარმოებმა შპს

„თბილისის მეტრომ“ და შპს „მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო“ შეიმუშაონ და დამტკიცონ ფასდაკლების სისტემა საავტობუსო მარშრუტებითა და მეტროპოლიტენით მგზავრობის იმ მომხმარებელთათვის, რომელთაც სურთ მრავალჯერადი გამოყენების აბონემენტებით სარგებლობა, რაც უზრუნველყოფს ერთჯერადი მგზავრობის საფასურის განსაზღვრას 0,40 ლარიდან 0,20 ლარის ფარგლებში.

- მუხლი 3. 1. ეს გადაწყვეტილება, გარდა მისი პირველი მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს. 2. ამ გადაწყვეტილების პირველი მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ამოქმედდეს 2007 წლის პირველი ივლისიდან. 3. ამ გადაწყვეტილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და ამ გადაწყვეტილების დანართი ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2007 წლის 1 ივლისიდან. მუხლი 4. ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს ძალადაკარგულად გამოცხადდეს „რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში ტარიფების შესახებ“ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 29 დეკემბრის №4-25 გადაწყვეტილება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბებაშვილი

დანართი საავტობუსო მარშრუტებზე და მეტროპოლიტენით ერთჯერადი მგზავრობის ტარიფები

- 1. საავტობუსო მარშრუტებზე ერთჯერადი მგზავრობის ტარიფები: ა) საავტობუსო მარშრუტების ერთჯერადი მგზავრობის ტარიფი ნომერ: 2, 3, 5, 6, 7, 8, 9, 12, 14, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 27, 28, 31, 32, 33, 36, 39, 42, 43, 44, 46, 47, 49, 50, 53, 55, 57, 58, 59, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 71, 72, 75, 76, 78, 84, 85, 86, 87, 90 - 20 თეთრი; ბ) ერთჯერადი მგზავრობის ტარიფი ნომერ 1 და 69 საავტობუსო მარშრუტზე - 25 თეთრი; გ) ერთჯერადი მგზავრობის ტარიფი ნომერ 34 საავტობუსო მარშრუტზე - 30 თეთრი; დ) ერთჯერადი მგზავრობის ტარიფი ნომერ 37 საავტობუსო მარშრუტზე - 50 თეთრი. 2. მეტროპოლიტენით ერთჯერადი მგზავრობის ტარიფი - 20 თეთრი.

№ 90. ვაჰაშვილი. 12 მაისი. 2007 წელი.



გინდა თუ არა, ქართული სინამდვილე კითხვას მაინც ასე დაგასმეინებს: ვისი ფა- ვორიტი გაიმარჯვებს? რა თქმა უნდა, ამაში მოსაწონი არაფერია - ადამიანმა პოსტი პროფესიონალიზმისა და ღირსებების მიხედვით უნდა დაიკავოს და არა წონი- ან მფარველობით ზურგამაგრებულმა. ასეა ცივილიზებულ სამყაროში, ასე უნ- და იყოს ჩვენთანაც, მაგრამ არ არის და, ალბათ, კიდევ კარგა ხანს არ იქნება



ორბიტაზე

ზიდანის ინდონეზიაში



საზრანგაბითის სა- ფეხბურთო ნაკრე- ბის ყოფილი კაპი- ტანი ზინედინ ზი- დანი ინდონეზიაში გაემგზავრება ბავ- შეთა სპორტის გა- ნავითარების პროგრამის მხარ- დასაჭერად. სა- ხელგანთქმული ფრანგი ფეხბურ- თელი 6-8 ივლისს დაესწრება ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირის მატჩებს, აგრეთვე გაეცნობა იქაური ფეხბურთის სკოლების მუშაობას.

აღსანიშნავია, რომ ყოფილი ნახევარმც- ველის ვიზიტი აგრეთვე ემთხვევა აზიის თა- სის გათამაშების სტარტს. ტურნირი, რომ- ლის ერთ-ერთი ორგანიზატორი ინდონე- ზიაცაა, 7 ივლისს იწყება. ფინალური მატჩი კი ჯაკარტაში 29 ივლისს გაიმართება.

ფულს ერთმანეთის გინებით აკეთებენ?

დღეს მოსკოვში გაიმართება საფეხბურ- თო სუპერდერბი - ერთმანეთს დაუპირის- პირდებიან შუურიგებელი მეტოქეები - ცსკა და „სპარტაკი“.



შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მეტოქე- ბის გულშემატკივ- რები „სპარტაკს“ თუ „ხორცად“ („ჩიჩიაა!“) მოიხსენიებდნენ, ცსკა „ცხენი“ იყო. ეს მეტსახელები მრავ- ცალჯერ გამხდარა მინდორზე თავად ფეხბურთელთა ჩხუბის მიზეზი. დღესაც ძალზე ხშირად მოისმენთ გულშემატკი- ვართა ასეთ შეძახილებს. ახლა უკვე თა- ვიანთი გუნდების მხარდასაჭერად. ცსკას ფანატები ძალზე ხშირად ცაში უშვებენ ცხენის ფიგურის მსგავს გაბერილ ბუშ- ტებს. სპარტაკელები კი ერთხმად გაჰყ- ვირიან - „ჩიჩია! ჩიჩია!“

ახლა რუსეთის ბევრ საფეხბურთო გუნდს თავისი მეტსახელი აქვს. ვნახოთ, დღეს ვისი გულშემატკივრე- ბი გაიხარებენ.

ფეხბურთი

კალათბურთზე გაცვალა

ამერიკული ჟურნალის Sports Illustrated ერთ-ერთი ფოტოსესიის გმირი სე- ლიტა ებენქსი თავისი ბიოგრაფიის ზო- გიერთ წერილმანს ამჟღავნებს. ის ოჯახ- ში შვიდ ძმასთან ერთად იზრდებოდა და, ბუნებრივია, მათთან ერთად ფეხ- ბურთსაც თამაშობდა.

ქალიშვილის თქმით, კაიმანის კუნძუ- ლების პალმების ქვეშ გაზრდილი გოგონა თავის დროზე ურიგოდ როდი ურტყამ- და ბურთს. „ვცდილობდი, არაფერში ჩა- მოვრჩენოდი ძმებს, - განაცხადა სელი- ტამ, - მათთან ერთად ვჩხუბობდი კიდე- ვაც. საბედნიეროდ, დალურჯებული ად- ბილები აღარ მეტყობა“.

ახლა კუნძულები ქალიშვილი 24 წლი- საა, მის ინტერესებში თანდათან მთავარი ად- გილი სამოდელი ბიზნესმა დაიკავა, თუმ- ცა სპორტის სიყვარული არ განელებია. ახ- ლა მას უკვე კალათბურთი იტაცებს. მთე- ლი სიცოცხლე ოცნებობდა ლეგენდარულ მაიკლ ჯორდანთან შეხვედრაზე. ამას წინათ



ეს ნატვრაც აუსრულდა. „იმ მომენტში თით- ქოს დავმუნჯ- დი, - იხსენებს ლამაზმანი, - ის ისეთი უზარმა- ზარი აღმოჩნ- და, თანაც ძალ- ზე გულთბილი. კიდევ მოვა- ხერხე კობი ბ რ ა ი ა ნ ტ ი ს გაცნობაც. მან ჩემს მაისურზე ავტოგრაფი დაამიტოვა“.

სფფ

306 - 305?

ბინდა თუ არა, ქართული სინამდ- ვილე კითხვას მაინც ასე დაგასმეინ- ნებს: ვისი ფავორიტი გაიმარჯვებს? რა თქმა უნდა, ამაში მოსაწონი არა- ფერია - ადამიანმა პოსტი პროფე- სიონალიზმისა და ღირსებების მი- ხედვით უნდა დაიკავოს და არა წო- ნიანი მფარველობით ზურგამაგრე- ბულმა. ასეა ცივილიზებულ სამყა- რში, ასე უნდა იყოს ჩვენთანაც, მაგრამ არ არის და, ალბათ, კიდევ კარგა ხანს არ იქნება.

ფეხბურთი

უინ და ბარეთი



დღეს საქართველოს სტადიონებზე 17 საათზე დაიწყება ფეხბურთელთა XVIII ეროვნული ჩემპიონატის XXIV ტუ- რის შეხვედრები: „ბორჯომი“ - „კახეთი“, „სიონი“ - „ზეს- ტაფონი“, „ამერი“ - „მერანი“, „ტორპედო“ - „ლოკომო- ტივი“, „ბათუმი“ - „ჩიხურა“, „დილა“ - „ოლიმპი“, „დი- ნამო“ - „ვიტ ჯორჯია“.

სატურნირო ცხრილში შექმნილი ვითარების გათვა- ლისწინებით, განსაკუთრებულ ინტერესს უკანასკნელი ორი მატჩი იწვევს და ჩვენც მათზე შევჩერდებით.

მოგეხსენებათ, ოქროს მედლებისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში რუსთაველები სამი ქულით უსწრებენ, უახლოეს მდევარს და თუ რაიმე თვითონ არ დამართეს საკუთარ თავს, პირველად ავლენ ოლიმპზე. როცა რაღაც ფარსაზე ვსა- უბრობთ, დღევანდელ თამაშსაც ვგულისხმობთ. მართალია, მიმდინარე სეზონში შიდაქართულებმა მაჩანჩალის იარ- ლიყი დაიმსახურეს, მაგრამ თუ საქმეს პრინციპულად მი- უდგებიან, საკუთარ მინდორზე კვანტის დადების უნარიც შესწევთ. მოქცევიან ასე? - საკითხავი, აი, ეს არის.

რაც შეეხება თბილისის „დინამოს“, მუდამ ვაჟკაცუ- რად მებრძოლი „ვიტ ჯორჯიას“ სახით დუშან უგრინის გუნდს სერიოზული გამოცდელი ჰყავს. დარწმუნებულ- ნი ვართ, ვაკის სტადიონზე მძაფრი სანახაობა გველის, თუმცა ვერსად წავეუღავთ იმ ფაქტს, რომ „თეთრ-ლურ- ჯთა“ ბედი სხვებმაც უნდა გადაწყვიტონ.



ესპანეთის თასის გათამაშების საპასუხო ნახევარფი- ნალური შეხვედრები: „ხეტაფე“ - „ბარსელონა“ 4:0 (2:5), „სევილია“ - „დეპორტივო“ 2:0 (3:0).

17 წლამდე ასაკის ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის ნა- ხევარფინალი. ესპანეთი - ბელგია 1:1 (პენალტებით 7:6), ინგლისი - საფრანგეთი 1:0. ფინალური მატჩი ხვალ გა- იმართება.

ტყვიის სროლა

ისევ იმედგაცხობა




მსოფლიო თასის მორიგ გათამაშე- ბას ტაილანდის დედაქალაქმა ბანგ- კოკმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში ორი ქართველი ჩუბინი მონაწილეობ- და - ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სა- ლუქვაძე, რომელსაც პეკინის ოლიმპიადის საგზური უკ- ვე დაბევებული აქვს და ქუთაისელი ნინო უჩაძე.

პნევეტური პისტოლეტიდან სროლაში სალუქვაძემ 32-ე, ხოლო უჩაძემ 77-ე ადგილები დაიკავეს. სპორ- ტული პისტოლეტით მოგროვებულმა 577-მა ქულამ კი ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონს მხოლოდ მე-15 ადგი- ლი არგუნა.

კალათბურთი

იცოდით?

შპშე გაუნყეთ, რომ



ათენში დასრულბუ- ლი ევროლიგის „ოთ- თა ფინალი“ ადგი- ლობრივი „პანათინა- იკოსის“ ტრიუმფით აღინიშნა, რომელიც მეოთხედ დაეუფლა პრესტიჟულ ფილ- დოს. სხვათა შორის, ეს კონტინენტის ყველაზე პოპულარული საკლუ- ბო ტურნირის საიუბი- ლეო - 50-ე გათამაშე- ბა გახლდათ. გულშე- მატკივარს, ალბათ, და- აინტერესებს დანარჩენ გამარჯვებულთა ნუს- ხა, რომელსაც, ჩვენდა საამაყოდ, თბილისის „დინამოც“ ამშვენებს (მისი მიღწევის 45-ე

წლისთავი ქართული სპორტის მამებს, რატომღაც, არ გახსე- ნებიათ). მაშ ასე, გაცხანით რჩე- ულთა საზოგადოებას. მადრიდის „რეალი“ - 8, ცსკა - 5, „მაკაბი“, „ინისი“ - 4-4, რი- გის სკა - 3, „კინდერი“, „კანტუ“, „ცობონა“, „იუგოსლავთიკა“ 2- 2, „სიმენტალი“, „მობილჯი-

რჯი“, „ბანკო დი რომა“, „ტრეისერი“, „ფილიპსი“, „ხუვენტუდი“, „ბარსელონა“, „ბოსნა“, „პოპ-84“, „პარტი- ზანი“, „ლიმოფი“, „ოლიმპი- აკოსი“, „ჟალგირისი“ - 1-1. დაეძენთ, რომ ქვეყნების მიხედვით იტალია (13) და ესპანეთი (10) მონიწივეობენ.

ჰოკეი


კვანძი ხვალ გაიხსნება

რუსეთი - ფინეთი, შვედეთი - კანადა. ასეთი გახლავთ ჰო- კეისტა მსოფლიო ჩემპიონა- ტის დღევანდელი ნახევარფი- ნალური წყვილების შემადგენ- ლობა, რომელსაც მოსკოვი მასპინძლობს. ტურნირი ხვალ დასრულდება.

მეოთხედფინალში ყველაზე მძიმე ბრძოლა ფინელებს გადას- დათ თავს. მათ ამერიკის შეერ- თებული შტატების ნაკრებს ბუ- ლიტებით მოუგეს (ძირითადი დრო - 4:4). „სუომის“ ქვეყნის წარმომადგენელთა მომავალმა

მეტოქემ ჩეხებთან მიაღწია სანადელს 4:0. ალბათ, დაგ- ვეთანხმებით, რომ სხვანაირი შედეგი აღნიშნულ შესვედ- რაში ძნელად სავარაუდო იყო - იგი ხომ 9 მაისს გაი- მართა, გამარჯვების დღეს კი ვიანესლავ ბიკოვის შეგირ- დებს დამარცხებას, თანაც მოსკოვში, არავეინ აპატიებ- და.

ამ ეტაპის დანარჩენი მატ- ჩების შედეგები: შვედეთი - სლოვაკეთი 7:4, კანადა - შვე- იცარია 5:1.





უნიკალური გამოფენა

ხასიათები და სახეები მზად არის, მსახიობებმა რაღა უნდა აკეთონ?!

საუკუნის ესკიზები

კოტე მარჯანიშვილმა უნიკალური კოლექცია დაგვიტოვა. ჩვენთვის აქამდე უცნობი, ან სულაც მივიწყებული შედეგები, რომლებიც კარგა ხნის გამოკეტილ მუზეუმში სვეტებად იყო დანახობილი...

მოდერნიზმი. მის გვერდით საინტერესოა „ნიჭი და ნილაბის“ მუსიკალურ საკრავთა ესკიზები - ფლეიტის, ფლაუტის, ფაგოტის, ლიტაურისა და ვიოლინოს კოსტუმები სიმბოლურად შეუქმნია უცნობ მხატვარს პანტომიმისთვის, მაგრამ... 1922 წელს მოხდა უცნაური რამ - მოსკოვში ეს უსიტყვო დრამა მარჯანიშვილ-



რიელი ქვერვის "არაჩვეულებრივი კოსტუმების ესთეტიკა მხატვარმა თეატრის "ჯადოქრის" შემოქმედებით ექსპერიმენტებს დაუკავშირა. ესკიზებს შორის იშვიათი აღმოჩენაა ვიქტორ სიმონის პერგამენტზე ტუმით დასრულებული თმის ვარცხნილობისა და აქსესუარების ჩანახატები. ყველაფერი ეს კი "მშვენიერი ელენის" ქალბატონებს პირველად 1913 წელს შეუფასებიათ. გავათითქმის საუკუნე, მაგრამ... ამ ესკიზებზე ჩადებული ემოციები არ ხუნდება, ის ემოციები დღეს ისევ ცოცხლად აღიქმება. უფრო მეტიც, დრო სხვა ხიზლსა და შარმს სძენს იმ ფერწერულ რეტროსამყაროს, რომლის თხრობის სტილი ახალ სივრცობრივ კონცეფციებს კარნახობდა რეჟისორს. თავად რეჟისორის შემოქმედებითი თეორია კი გულსხმობდა რომ სპექტაკლის "შეფუთვაში" მხატვარი ყოფილობით არა მხოლოდ დოკუმენტური და ლაკონური, არამედ ინდივიდუალური ხედვით, გამორჩეული და, თავისთავად, გაბედული და ზუსტი კლასიკიდან - მოდერნიზმამდე აქვე მნიშვნელოვანი იყო მაკეტის ფორმა, ფერი, ფაქტურა. როგორც თავად წერდა:

ტაკლისადმი ჰქონდა ინდივიდუალური მიდგომა, არჩევდა ისეთ მხატვრებთან მუშაობას, ვინც მას-სავით გრძნობდა თეატრის რიტმსა და არსს... სპექტაკლის დეკორაციაში კი კოსტუმს განიხილავდა, როგორც საერთო კომპოზიციის რიტმულ ელემენტს, რადგან კოსტუმი უფრო კონკრეტული იყო რეჟისორისთვის, ვიდრე, თუნდაც, მარტივი დეკორაცია... ალბათ ამითაც აიხსნება ის, რომ 20-იანი წლების კოსტუმების ესკიზებში გამორთა ხასიათებია გაშიფრული... "ჩალის ქუდში" ევგენი ტამარშიმ ხსარტი სახვითი ხერხებით გამოსახა მამაკაცის კოსტუმი, უცნობი მხატვრის მასხარა კი თავისი პლასტიკით ცალკეულ მიზანსცენაში სთავაზობს აქტიურს სამეტყველო ნიღაბს... ალექსეი რადაკოვის პრემიერ-მინისტრის, ნოტარიუსისა და ლაქიას სატირული პორტრეტები ეპოქის ტიპაჟებადაც შეიძლება ჩაითვალოს - როცა არჩეული ნატურის ცოცხალი დეტალები არ არღვევს თვითგამოსახვის შინაგან ლოგიკას, ახასიათებს კონკრეტულს, სახასიათო ფერიც კი და... ჩანს, რომ ასე პირდაპირ აწვდის მზა მასალას მსახიობებს მხატვარი... მსგავს მომენტში ერთხელ მარჯანიშვილს უთქვამს: „დახედეთ თქვენს გამოსახვის მხატვარს - ხასიათები და სახეები მზად არის, მსახიობებმა რაღა უნდა აკეთონ?!“

სილ შუბავეცი, ევგენი ლანსერე, იოსებ შარლემანი - ესენი იმდროის ის ცნობილი მხატვარ-დეკორატორები არიან, რომლებიც მარჯანიშვილთან ერთად აქაც ქმნიან იმ სპექტაკლებს, რომლებიც ერთ დროს გაქრა და ლეგენდებში დარჩა თაობათა მესხიერებაში... დღეს კი ამ ლეგენდების მხოლოდ მხატვრულ ნაწილთან გვიწევს შეხვედრა: აქედან ყველაზე ძველი დეკორაციის ესკიზი 1928 წლით არის დათარიღებული. ის იოსებ შარლემანს ქუთაისის სახელმწიფო თეატრისთვის დაუმუშავებია. ამავე პერიოდში ევგენი ლანსერეს „მაკეტის“ დეკორაციის მაკეტი შეუქმნია, მაგრამ რეჟისორს ეს სპექტაკლი განუხორციელებელი დარჩენია... ისტორიული დოკუმენტია ვასილ შუბავეცის მიერ 1948 წელს შესრულებული „ცეკვის მასწავლებლისა“ და „კრეჩინის კის ქორწინების“ ჩანახატები. ამ ესკიზების მიხედვით შეკერილ კოსტუმებს ირგებდნენ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ვასო გოძიაშვილი, მარინე თბილელი, იაკობ ტრიპოლსკი...

დღეს ეს არქივები პირველად გაიხსნა და ჩვენ აღმოვაჩინეთ, თუ ვინ იყვნენ ლეგენდარული რეჟისორის რჩეული მხატვარ-დეკორატორები. ასევე, ის თეატრალური ესკიზები, რომლებიც სპექტაკლის გარეშე განაგრძობენ სიცოცხლეს, თუმცა თეატრულ ფრაგმენტებში მაინც არ უარყოფენ თეატრალურ ასპექტებს.

ძველი თეატრის ფონდსაცავიდან 16 რუსი მხატვრისა და 4 უცნობი ავტორის 100 ექსპონატი გამოიტანეს. ყველაზე ადრინდელი დეკორაცია 1906 წლით თარიღდება - ხარკოვში დადგმული სპექტაკლები „ახალი სიკეთე“ და „თოვლის ქარი“ კოტე მარჯანიშვილისთვის კონსტანტინ პერვუხინს გაუფორმებია. შემონახულია 1909 წელს ნიკოლაი იგნატიევის „შავი ნიღბების“ სცენოგრაფიის ესკიზები. აქვეა მოსკოვში, დიდი მავსტროს მიერ დაარსებული თავისუფალი თეატრის ფარდის ჩანახატები - ამ მონუმენტური პანოს დეკორაციული კომპოზიცია 1913 წელს ვიქტორ სიმონის სრული იმპროვიზაციით გადაუწყვიტავს

მარტომლაც ველარ დადგა. თეატრის საკუთრებაა 1921 წლით დათარიღებული მაკარ დომრაჩოვის აღმოსავლური კოლორიტით გამორჩეული ორიგინალები - „სოროჩინის ბაზრობის“ დეკორაციის დეტალები და „მალა-

როგორი სიმართლითაც უნდა ასახო ადამიანის ბუნება, ჩვენ გვიზიდავს არა სიუჟეტი, არა ზედმიწევნითი სიზუსტე, არამედ შენი ის პირადი, რაც ჩააქსოვს შენს ქმნილებაში. აი, აქ იჩენს ხოლმე თავს საფრთხე მხატვრისათვის, როგორი თვალით უყურებს ის სამყაროს, დრამატულ ნაწარმოებს, მოველნას!.. შენ განუხეხავს ახლის ძიება, არ იცი როგორ იპოვი იგი? - სრულიად უბრალოდ. არ ითაღლითო, სიმართლე მუდამ ერთია ნებისმიერ კეთილსინდისიერ მხატვართან... და მაინც, მარჯანიშვილს სპექ-

...მარჯანიშვილის თეატრში უნიკალური ესკიზები თვის ბოლომდე იქნება ექსპონირებული. გამოფენას თან ახლავს თეატრის მხატვრობაზე პირველად გამოსული სოლიდური კატალოგი და მისი ელექტრონული ვერსიის ალბომი. ეს გამოკეტილები საუკუნის ესკიზებზე მოგვითხრობს.

ტესტი

რამდენ ხანს ვიცოცხლებო?

ისაბო ეპოქაში ვცხოვრობთ, როცა მეცნიერები სწავლობენ ჩვენი ყოფის ყოველ ნიუანსსა და დეტალს. სწავლობენ და საოცრად დასკვნამდე მიდიან.

წინასწარ განესაზღვროთ ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობა.

- 1. თუ თქვენ ცხოვრობთ ისეთ დასახლებულ ადგილას, სადაც არანაკლებ 10 ათასი ადამიანიზე მეტი ცხოვრობს - მიუმატეთ 2 წელიწადი.
2. თუ სამსახურში დატვირთული ხართ გონებრივი შრომით, გამოაკელით 3 წელიწადი, თუ ფიზიკური - მიუმატეთ 3 წელიწადი.
3. თუ თქვენ დაქორწინებული ხართ, დაუმატეთ 5 წელიწადი, თუ არა - გამოაკელით 1 წელიწადი მარტოხელა ცხოვრების ათი წლიდან.
4. თუ თქვენ „მუდმივად“ 10 საათზე მეტი გაძინავთ და ძლიერად გეძინებთ - გამოაკელით 4 წელიწადი, თუ 7-8 საათი, - 0 წელიწადი.
5. თუ ცუდად გძინავთ, გამოაკელით 3 წელიწადი. ძლიერი დაღლილობა, ისევე, როგორც ბევრი ძი-

ტესტი მარტივია და ყველას შეუძლია გამოიყენოს: ავიღოთ ადამიანის ასაკის საშუალო მონაცემი - 72 წელი! თუ მამაკაცი ხართ 72-ს გამოაკელით - 3. ქალებმა კი მიუმატეთ 4 (ქალები ხომ საშუალოდ, კაცებზე 7 წლით მეტს ცოცხლობენ). ამრიგად, კაცებისთვის ვღებულობთ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობად 69 წელს, ქალების კი - 76 წელს.

- 6. თუ თქვენ ნერვული, ალგუნებული, აგრესიული ადამიანი ხართ გამოაკელით 3 წელიწადი, თუ მშვიდი და განონასწორებული - მიუმატეთ 3 წელიწადი.
7. თუ ბედნიერი ხართ, მიუმატეთ 1 წელი, თუ უბედური - გამოაკელით 2 წელიწადი.
8. თუ საჭესთან მუდმივად არღვევთ მოძრაობის წესებს, გამოაკელით 1 წელიწადი.
9. თუ თქვენ მუდმივად არ გყოფნით ფული და გამოუძებით ეძებთ „ფულიან სამსახურს“, გამოაკელით 2 წელიწადი.
10. თუ საშუალო განათლება გაქვთ, მიუმატეთ 1 წელიწადი, თუ უმაღლესი - 2 წელიწადი.
11. თუ უნსიაზე ხართ, მაგრამ აგრძელებთ მუშაობას, მიუმატეთ 3 წელიწადი.



ერთმა სიხარულმა კიდევ შემოაღო კარი და სულში ჩამახედა. ეს სული თამარ შაიშმელაშვილია, მისი ახალგამოსული წიგნია



ეროვნული ბიბლიოთეკა

### წარდგინება

## ჩამოთვლილ ზარტა მდუმარებაში...

კინოთეატრ „ამირანში“ მდებარე კაფე „ლიტერატურულში“ გაიმართა პოეტ თამარ შაიშმელაშვილის ლექსების ახალი კრებულის „ჩამოთვლილი ზარების“ წარდგინება. საღამოს უძღვებოდა პოეტი მარიამ წიკლაური.

თამარის ლექსებზე და მის შემოქმედებაზე ილაპარაკეს: პროფესორებმა ნოდარ ტაბიძემ, დიანა ტყეუჭავაძემ, მწერლებმა დოდო ხიმშიაშვილმა, ცილა არდაშელიამ, ბიეტა აბშილაძემ, ქეთევან დოლიძემ, ელგუჯა ლებანიძემ, ყურნალ „მწერლობა XXI“-ის რედაქტორმა ლაშა გვახალიამ, ნონა გიორგაძემ.

სალამოზე წაიკითხეს მსოფლიო პოეტის, ავადმყოფობის გამო სარეცელს მიჯაჭვულ სილოვან ნარიშკინის წერილი „ჩამოთვლილი ზარტა მდუმარება“

ში“. მკითხველებს ვთავაზობთ ამ წერილს:

„ერთმა სიხარულმა კიდევ შემოაღო კარი და სულში ჩამახედა. ეს სული თამარ შაიშმელაშვილია, მისი ახალგამოსული წიგნია იგი სიცოცხლისა და იმედით მოსული გაზაფხულია. ეს წიგნი, ჩემი აზრით, ხმათა სიმფონიაა და უფრო მეტიც. თამარმა ერთხელ კიდევ შეგვახსენა თავი და სიამოვნება მოგვანიჭა.

გული მტკივა, რომ თქვენთან არა ვარ, ჩემს სიხარულს ვერ გადავცემ ავტორს, რომელმაც ახლა უკვე მეოთხე ფიქრიალი წიგნით გაგვახარა.

ამ წიგნის შექმნისთვის მადლობას ვუხდით არა მხოლოდ თამარს, არამედ წიგნის რედაქტორს, ბატონ ნოდარ ტაბიძეს, რომელმაც მრავალჯერ გაგვახარა ბევრი კეთილი საქმით, გულის დიდი სითბოთი,

შრომა არ დაიშურა ამ წიგნისთვის.

შემთხვევით არ წერს ბატონი ნოდარი, თამარს უკვე მყარი კონცეფცია აქვს და თავისთავადი ხელწერაც.

რამდენიმე ლექსის სათაური ამოვიწერე ამ მართლაც მშვენიერი წიგნიდან: „კრწანისის განთიადი“, „მცხეთის ჯვარი“, „შუამთა“ და „სევდამ გაშალა თეთრი მანდილი“, „ცის ნალღვლიანი შეილები“... რამდენი რამ მინდა ვთქვა, მაგრამ ავადმყოფობა არ მძლევს საშუალებას. თუმცა მეიმედება, რომ თამარი მალე გაგვახარებს ახალი ლექსებით, ახალი კრებულებით და მაშინ შევძლებ უფრო ვრცლად თქმას, უფრო სრულად შევძლებ მათი კითხვით მოგვრილი სიხარულის სხვათათვის გაზიარებას.

სიყვარული და ახალ-ახალი გამარჯვებები მინდა ვუსურვო ჩვენს ძვირფას

თამარს, ჩემი ლოცვაც მივუმატო მის ზემს!“

გთავაზობთ თამარ შაიშმელაშვილის ლექსს ახალი კრებულიდან „ჩამოთვლილი ზარები“:

მე შენი წვიმის პატარძალი ვარ – მზის ცრემლიანი კრიალოსანი... თეთრ ლამეებში ჩუმად ვტირივარ, ვით დაბინდული სევდის სოსანი... მე შენი ნისლის პატარძალი ვარ, ხან მთვარიანი, ხან ლამიანი... სვემშვენიერი ნატარძალი ვარ, ვედრებით გისმობ რა ხანი არი... მე შენი ზეცის ერთი სხივი ვარ და მყინვარწვერი

თოვლით შობილი... დრომ – ავბედითმა ვერ გამისხვისა უფამო სევდა – მხოლოდშობილი...

ალექსანდრა ავალიანი

### საქართველოს კომპოზიტორთა შეოქმედებითი კავშირის განცხადება

**ქ. გორჯომის „კომპოზიტორთა სახლის“ შეიქმნის მსურველთა საყურადღებოდ!**

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი ოფიციალურად აცხადებს, რომ „გორჯომის კომპოზიტორთა სახლის“ საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანა აბსოლუტურად უკანონო და ამორალურია, რამდენადაც მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ საფუძველს და ემყარება ძალმომრეობისა და განუკითხაობის „პრინციპს“.

„გორჯომის კომპოზიტორთა სახლი“ მთლიანად საქართველოს კომპოზიტორთა კავშირისა და მისი დაქვემდებარებული ორგანიზაციის „მუსიკალური ფონდის“ სახსრებით არის აშენებული (1977-1982 წ.წ.) ისე, რომ სახელმწიფოს ამისათვის არც ერთი კაპიკი არ დაუხარჯავს. ამის დამადასტურებელია ჩვენ მიერ წარმოდგენილი დიდალი დოკუმენტური მასალა, რომელიც დამაჯერებლად მეტყველებს იმაზე, რომ სახლის ერთადერთი კანონიერი მფლობელი სწორედ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირია.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს არაკანონიერი გადანაცვლებული „გორჯომის სახლის“ ექსპროპრიაციის შესახებ გაპროტესტებულია ჩვენ მიერ და სარჩელი შეტანილია სასამართლო ინსტანციებში. ვაპირებთ ბოლომდე ბრძოლას და დარწმუნებულები ვართ გამარჯვებაში.

ამიტომ ვაფრთხილებთ ყველას, ვისაც შეიძლება გაუჩნდეს „გორჯომის კომპოზიტორთა სახლის“ ყიდვის სურვილი, თავი შეიკავონ ამ დაუფიქრებელი, კანონსაწინააღმდეგო ნაბიჯისგან, რასაც შეიძლება მათთვის ძალიან უსიამოვნო და საზიანო შედეგი მოჰყვეს, ხოლო შემძენი არაკეთილსინდისიერ მესაკუთრედ ჩაითვლება!

საქართველოს კომპოზიტორთა შეოქმედებითი კავშირი

### ინფორმაცია

#### „ევროკავშირი – 50 წელი ერთად“

1957 წლის 25 მარტს „რომის ხელშეკრულებების“ ხელმოწერით საფუძველი ჩაეყარა ევროპული ოჯახის შექმნას. დღეს ამ ოჯახში – ევროკავშირში 27 სახელმწიფოა გაერთიანებული. თბილისში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის თაოსნობით 15 მაისს 19 საათზე გაიმართება ევროკავშირის დამფუძნებელი „რომის ხელშეკრულებების“ 50 წლისთავსადმი მიძღვნილი გალაკონცერტი სახელწოდებით „ევროკავშირი – 50 წელი ერთად“.

კონცერტში თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან და გუნდთან ერთად მონაწილეობენ თეატრის სოლისტები: ირინე ალექსიძე, მაყვალა ასპანიძე, სულხან გველესიანი, გოჩა დათუსანი-ჯილაური, გიორგი მახარაძე, გიორგი ონიანი, ირინა რატიანი, ანტონ რაჭველიშვილი, ელენა პუტილოვა, ნინო ჩაჩუა, ზაალ ხელაია.

პროგრამაშია ვერდის, პუჩინის, დონიცეტის, ბიზეს, სენ-სანსის, ფალიაშვილის, ლალიძის ნაწარმოებები.

გალაკონცერტს უდირიყორებენ ზაზა აზმაიფარაშვილი და გოგი ჭიჭინაძე.

„სრ“ კორ.

### აფხაზეთის პრობლემაზე დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ!

სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის ერთობლივ სააქტო დარბაზში (თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 45, VI სართული) საქართველოს საერთაშორისო სადისკუსიო ფორუმი 2007 წლის 16 და 30 მაისს (ოთხშაბათს) 13 საათიდან აწყობს „აფხაზეთის წარსული, აწმყო და მომავალი“ – თაობაზე მოხსენებების მომწინააღმდეგებას.

დასწრება და დისკუსიაში მონაწილეობის მიღება თავისუფალია.

ფორუმის კოორდინატორთა საბჭო

### სსოვნა

## ეთარ ორჯონიკიძე

ოჯახს და ნათესავებს, საზოგადოებას გამოაკლდა კდემამოსილი ქალბატონი, უმნიშვნელო ზნეობით შემკული პიროვნება, აღიარებული მეცნიერი.

ე. ორჯონიკიძე დაიბადა 1927 წელს. საშუალო სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1944 წელს ცოდნა-განათლების მიღება გააგრძელა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 1949 წელს მიიღო ისტორიკოსის დიპლომი. მომდევნო ხანებში გაიარა ასპირანტურის კურსი, დაიცვა ჯერ საკანდიდატო დისერტაცია, შემდეგ კი მოიპოვა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება. 50 წელი ფრიად ნაყოფიერად იმუშავა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორია-ეთნოლოგიის ინსტიტუტში.

ე. ორჯონიკიძეს კარგად ჰქონდა შესწავლილ-გააზრებული ქართველი ხალხის განვითარების მრავალსაუკუნოვანი პროცესი, მაგრამ მისი კვლევა-ძიების სფერო იყო XIX ს-ის მოვლენები. თავის ნაშრომებში მალაღმეციერულად ასახა რუსეთის ბატონობის ქვეშ მოქცეული საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა, ქართველი ხალხის სამეურნეო კულტურა და სოციალური განვითარება. გვიჩვენა რუსული მმართველობის ხასიათი, მისი დიდმპყრობლურ-შოვინისტური ბუნება. თავისი სიტყვა თქვა კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების პრობლემებზე.

საყოველთაო აღიარება, ფრიად მალაღმეციერულად დაიმსახურა ე. ორჯონიკიძის მონოგრაფიამ – „XIX საუკუნის რეფორმამდელი ხალხის საქართველოს აგრარულ ურთიერთობათა ევოლუცია“, რომელიც გამოქვეყნდა 1979 წელს.

ავტორმა გამოიყენა შედარებით-ისტორიული მეთოდი და დამაჯერებლად დაასაბუთა დებულება იმის შესახებ, რომ დამპყრობელმა ვერ შეძლო საქართველოში დაემკვიდრებინა მინათმფლობელობისა და ბატონყმური ურთიერთობების რუსული მოდელი, სრულკაბალაში ვერ მოაქცია საქართველოს უშუალო მწარმოებელი მოსახლეობა. ე. ორჯონიკიძემ ნათელყო, რომ ქართველმა გლეხობამ წარმატებით გააგრძელა ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეებში საფუძველჩაყრილი ტრადიცია, არ დალოდებია ბატონყმობის შემოდან გაუქმებას, XIX ს-ის პირველ ნახევარში ყიდვის გზით გააფართოვა საკუთარი მიწის ფონდი, ბევრმა მათგანმა მოახერხა თავისუფლების გამოსყიდვაც.

ე. ორჯონიკიძემ მალაღმეციერული თვისებით, ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობით მოიპოვა პატივისცემა. იგი უმცროსი კოლეგების კონსულტანტი იყო, დამწყებთა მეცნიერ-ხელმძღვანელი. მისი დახმარებით რამდენიმე ახალგაზრდამ მოიპოვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ე. ორჯონიკიძე ღვაწლმოსილი წავიდა სამუდამო სასუფეველში. მისი ხსოვნა მუდამ დარჩება ნათესავების, მეგობრებისა და კოლეგების გულში.

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი



● სოფო ხალვაშს 12 ათასი მაყურებელი ფინეთის უზარმაზარ საკონცერტო დარბაზში უკრავდა ტაშს, მილიონობით მაყურებელი კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ამხნევებდა



## ◎ ევროვიზია

### სოფო ხალვაში თინაქია!

ატმის ყვავილივით მშვენიერი 20 წლის სოფო ხალვაში სიმღერისთვის დაბადებულ პატარა დედოფალს ჰგავს. შარშან იურმალა „დაიპყრო“, გუშინწინ, ჩვენი დროით ლამის ორ საათზე კი... საქართველოს მეგობარი ქვეყნების მაყურებელთა შეფასებით (სწორედ უცხოელთა მხარდამჭერი „უსემესებით“ წყდებოდა 28 ნახევარფინალისტის ბედი) ათ საუკეთესოს შორის მოხვდა და ევროვიზია-2007-ის ფინალში გავიდა.

დღეს, მსოფლიოს 24 ქვეყნის მომღერალთა შორის, მეთერთმეტე ნომრით, კვლავ გაიბრწყინებს ლამაზი და ნიჭიერი, სასიამოვნო ტემბრის ხმის პატრონი სოფო ხალვაში და, ვინ იცის, იქნებ...

თუმცა, რომც ვერ გაიმარჯვოს, რასაც მიაღწია, მთელი ქართული მუსიკალური სამყაროს გამარჯვებაა.

სოფო ხალვაშს 12 ათასი მაყურებელი ფინეთის უზარმაზარ საკონცერტო დარბაზში უკრავდა ტაშს, მილიონობით მაყურებელი კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ამხნევებდა.


დღეს ეს რიცხვი, ბუნებრივია, კიდევ უფრო გაიზარდება.

სოფო კვლავ ბიბი კვაჭაძის სიმღერას — „ჩემი ამბავი“ შეასრულებს.

ჯერჯერობით, სოფოს „ამბავი“ ძალიან კარგად „მიდის“.

ფინალში გამარჯვებას აბა, რა აჯობებს.

რუსუდან  
ძიგულიანი



## ◎ „დრო, დრო აღნიშნა!“

### მეოცე საუკუნის ფოტოგრაფიანს წარმოგვიღებან ფოტოჟურნალისტი გივი მახტანბაძე



აპაღმეიკოს ანდრია აფაქიძეს ბევრი ვერ შეედრებოდა მშობელი ქვეყნის და, განსაკუთრებით, უძველესი მცხეთის სიყვარულში. წიგნიერი საზოგადოებისთვის ცნობილია, თუ რა უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა საქართველოს ძველ დედაქალაქში სწორედ ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით. სახელგანთქმულ მეცნიერს ბევრი მეგობარი ჰყავდა მცხეთაში, აი, ახლაც იგი გულდასმით უსმენს ხანმოკლე მცხეთელებს და რაღაც-რაღაცებს თავისთვის ინიშნავს.

## ◎ გვერავლოს!

### „სიმართლის წიგნი“ უტყუარია

ყველა სამშობიარო სახლს გააჩნია „სიმართლის წიგნი“, სადაც მშობლის დასახელებით ახალდაბადებული ჩვილის გვარი, სახელი და მისამართი იწერება. პოდა, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლის „სიმართლის წიგნი“ პირველი მაისიდან დღემდე 17 ბავშვის — 8 გოგოსა და 9 ბიჭის დაბადების თარიღი ჩაიწერა.

— თბილისელ თამარ პირველს მესამე შვილი გოგო შეეძინა. ჩვენთან რაიონებიდან ჩამოსულებიც არიან. გორელ მაკა დარახველიც-სამხარაძეს —

ვაჟი, ხოლო ოქროყანელ თინა ამირანაშვილს გოგონა შეეძინა, — გვაცნობა ამ სამშობიარო სახლის მდებარე ეთერ ტიტუნიძემ, — სამშობიარო სახლის სამედიცინო პერსონალი მასპინძლობს მოსამშობიარებლად მოსულ ყველა ორსულ ქალს. ქალბატონმა ეთერმა ისიც დაუმატა, რომ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ გამოწერილი გვაქვს და სიხარულით ვვხვდებით იმ ნომერს, როცა ჩვენზე იწერება.

ლმერთმა ამრავლოს ქართველთა მოდგმა, ბავშვი ხომ ოჯახის სიხარულია!

ნათელა ფაილოძე

## ◎ ანაკლოტაბი

მოდის ივან ივანიჩი ქუჩაში და მოასიერებს თოვტამობულ ლორს, რომელსაც ერთი ფეხი აკლია.

— რა დაემართა? — ეკითხება შემხვედრი.

— იცით, — ეუბნება ივანიჩი, — ეს გრძელი და საკვირველი ისტორიაა. ამ ლორმა ძალიან დიდი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში. ამ ცოტა ხნის წინათ სახლში ხანძარი გაგვიჩნდა. პოდა, ამ ლორმა ცეცხლს გამოსტაცა ჩემი ორი შვილი, ფაქტობრივად აღმოდებული სახლიდან მე და ჩემი ცოლიც გარეთ გამოგვყარა, ყველა საოჯახო ძვირფასეულობა გამოიტანა და ჩემი ბიზნესისთვის ძალზე საჭირო საბუთებიც გადამიჩინა!

— ეს კარგი, მაგრამ ფეხზე რა მოუვიდა? — რად გიკვირთ, ასეთ საოცარ ცხოველს ერთბაშად ვინ ტამს?

თუ გსურთ, რომ კამათში ბოლო სიტყვა თქვენ დაგრჩეთ, მისი წარმოთქმის შემდეგ შუბლში ტყვია დაიხალეთ!

მომალბამე, ფრთხილად იყავით, რეკლამა, შესაძლოა, სიმართლის მარცვალსაც შეიცავდეს.


რბ კარგია კვირა, რომლის შუაშიც დასვენების დღეა... ორი ორშაბათი გაქვს და ორიც — პარასკევი.



## ◎ ლარის კურსი

12 მაისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შეფასები კურსი		
ინგლისური ფუნტ. სტერლ.	1	3,9574 ლარი
აშშ დოლარი	1	1,6890 ლარი
ევრო	1	2,3033 ლარი
რუსული რუბლი	1	0,0658 ლარი
ამერბაიჯანული მანათი	1	1,9537 ლარი
სომხური დრამი	100	0,4731 ლარი
უკრაინული გრივნა	10	3,3719 ლარი

## ◎ კადრი



**რეკლამა**  
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

**საქართველოს რესპუბლიკა**  
SAKARTVELOS RESPUBLIKA  
აიფიო და რეკლამის განყოფილება  
გამომცემლობა „საქმედი“  
მ. მუსხიშვილის ქ. №14. ტელ: 93-50-22.  
ფაქსი: 93-50-22.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“  
გამომცემლობა  
შპს „ახალი საუკუნის“  
დამფუძნებელი ფურნა-  
ლისტები. მისამართი:  
ქუჩა: მუსხიშვილის ქ. №14.  
ტელ: 899 53766; 98-96-33.

შპს  
„თანადგობა-1“  
თბილისის ქ. №12.  
ტელ: 899 797679;  
98-96-32.

მთავარი რედაქტორი  
**ალეკო**  
**ასლანიშვილი**  
მორიგე რედაქტორი  
კონსტანტინე  
გურბანიძე

ინტენსი 66434,  
მისამართი: 0108, თბილისი,  
მ. კოსტავას ქ. №14.  
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.  
მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33.  
საბეჭდო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მისამართი: თბილისი, მუსხიშვილის ქ. №14.  
აბონენტების მისამართი: თბილისი, მუსხიშვილის ქ. №14.  
აბონენტების მისამართი: თბილისი, მუსხიშვილის ქ. №14.  
აბონენტების მისამართი: თბილისი, მუსხიშვილის ქ. №14.